საქართველო

წელიწადი მეხუთე | პარასკევი, 3 ღვინობისთვე 1919 წ. № 213 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ერ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა — 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

ოქტომბრის 5 ს, დილის 10 საათზე, ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი პოეტ

ცანავლის

სულის მოსახსენებლად. რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავი და ნაცნობთ დაობლებული ოჯახი. უ. 1—1

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი 1920 წ.

შაბათს, 4 ღვინობისთვეს სეზონის გახსნა: ბახუტაშვილისა, ვიშემირსკაიას, ხორინას სარაჯიშვილის, ინაშვილის, ჭუმბურიძის მონაწილეობით, ქართული ორიგინალური ოპერა ზ. ფალიაშვილისა

აბესალომ და ეთერი

დასდგამს წუწუნავა, დირიჟორობს ავტორი.

კვირას, 5 ღვინობისთვეს რისის, ვიშემირსკაიას, მარკოვის, ისეცკის, პოლიანოვის მონაწილობით „ჟიდოვკა“.

ორშაბათს, 6 ღვინობისთვეს ვოლ. ლევიცკაიას, გლაზის, იანსას, ზალიპსკის, ინაშვილის, ინეცკის მონაწილეობით „ევგენი ონეგინი“.

სამშაბათს 7 ღვინობისთვეს შულგინას (ბახუტაშვილის), ხორინას, სარაჯიშვილის, პოლიაევის, ისეცკის მონაწილეობით „დემონი“.

კასა ღიაა დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათ.

სპექტაკლის დასაწყისი სრულ 7 ნახ. საათზე. 3—1

სახელმწიფო თეატრი.

სეზონი—1920 წ. ოპერა სეზონი—1920 წ.

ს. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დასის შემადგენლობა:

სოპრანო: ალეშკო მ. ი. აგასოვა-კალანდაძე მ. ი., ალჩევსკაია მ. ა., ვოლ. ლევიცკაია ა. ს., ვიშემირსკაია მ. ა., დე-რობერტი, ზელინსკაია ფ. ს., კეპინოვა ს. ა., მანდენოვა ს. გ., იმინიაევა, ორლოვა ფ. ბ., რის ო. ლ., შულგინა ო. ლ.

მეცცო სოპრანო: გლახ გ. ფ., ერმოლინსკაია, ხორინა, იანსა მ. ა., შორდონეფსკაია.

ტენორი: ზალიპსკი ბ. ი., მარკოვი შ. ს., მოლჩანოვი ი. პ., პოლიანოვი ს. ი., როგაჩევსკი ი. პ., სარაჯიშვილი ი. პ., ჭუმბურიძე.

ბარიტონი: ინაშვილი ა. ი., ისკანდერი ა. გ., პოლიაევი ფ. ნ., თარხნიშვილი

ბასი: დემიანენკო, ისეცკი ლ. ნ., იმერლიშვილი, საბინინი ი. დ.

კომპარიმარიო: ოვსიანიკოვა ლ. ა., ზასლავსკაია ო. ფ., კურსატოვი ა. გ., ორლიუკი, ქურხული, ეზროვი.

დირიჟორი: კომპანეეცი გ. ფ., ფალიაშვილი ზ. პ., სტოლერმანი ს. ა., ჩერეპნინი ნ. ნ.

ხორმეისტერი: კორშონი ვ. ა., სიმონიშვილი.

კონცერტ მეისტერი: სოკოლოვა ლ. ა., საბინი-გუსი ე. დ., ფალიაშვილი უ. პ., ე. პ.

რეჟისორი: ბელსკი ა. დ.

ბალეტი 10 წყვილისაგან ბალეტმეისტერ ს. ფ. ვაკარეცის ხელმძღვანელობით. პრიმა-ბალერინა ბაუერზაკსი, ხორო—50 კაცისაგან. ორკესტრი—60 კაცისაგან. სამხატვრო ნაწილის გამგე ა. ა. ზალცანი.

სეზონი დაიწყება შაბათს, 4 ღვინობისთვეს სრულიად ახლად, ახალი დეკორაციებით, ახალ კოსტიუმებში და გაძლიერებული ხოროთი დაიდგმება შულგინას, ვიშემირსკაიას, ხორინას, სარაჯიშვილის, ინაშვილის, ჭუმბურიძის მონაწილეობით: **ორიგინალური ქართული ოპერა ზ. პ. ფალიაშვილისა: „აბესალომ და ეთერი“.** დასდგამს ა. წუწუნავა.

კვირას, 5 ღვინობისთვეს დაიდგმება: „ჟიდოვკა“, ორშაბათს, 6 ღვინობისთვეს: „ევგენი ონეგინი“, სამშაბათს, 7 ოქტომბერს ქართულ ენაზე; „დემონი“.

ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში 11-დან 2 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. 195 2—2

ოპერა ს. ი. ევლახიშვილისა პირველი აბონენტის პირველი სპექტაკლი

სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 4 ოქტომბერს სეზონის გახსნა: ბახუტაშვილისა, ვიშემირსკაიას, ხორინას, სარაჯიშვილის, ინაშვილის, ჭუმბურიძეს მონაწილეობით, ქართული ორიგინალური ოპერა ზ. ფალიაშვილისა

აბესალომ და ეთერი

დასდგამს წუწუნავა, დირიჟორობს ავტორი. კვირას, 5 ოქტომბერს რისის, ვიშემორსკაიას, მარკოვის, ისეცკის, პოლიანოვის მონაწილეობით „ჟიდოვკა“, ორშაბათს, 6 ოქტომბერს ვოლ-ლევიცკაიას, გლაზის, იანსას, ზალიპსკის, ინაშვილის, ისეცკის მონაწილეობით „ევგენი ონეგინი“. სამშაბათს, 7 ოქტომბერს, შულგინას, (ბახუტაშვილის) ხორინას, სარაჯიშვილის, პოლიაევის, ისეცკის მონაწილეობით „დემონი“. კასა ღიაა დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათ. სპექტაკლის დასაწყისი სრულ 7 ნახევარ საათზე. 2—195—2

საქართველოს ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზოგადოების წევრთა

ფლიერი კრება

მოხდება კვირას, ღვინობისთვის 5 ს, დილის 10-ს საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში.

საგანი კრებისა: 1. ე. თაყაიშვილის მოხსენება *) „ყარსის ოლქის ზოგიერთი ქართული ძველი ნაშთები“ (1907 წლის საარქეოლოგიო მოგზაურობიდან); 2. საზოგადოების, 1918 წლის მოქმედების და შემოსავალ გასავლის ანგარიშები; 3. საზოგადოების ხარჯთაღრიცხვა 1919 წლისათვის; 4. ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის ნების აღსრულებელთა მოთხოვნა, რომ ე. ივ. სარაჯიშვილის მიერ საზოგადოებისათვის ნაანდერძევ ფულით უნდა აშენდეს საზოგადოების მუზეუმი და ეწოდოს დავით და ეკატერინე სარაჯიშვილების სახელობის მუზეუმი; 5. საზოგადოების ახალ წევრთა არჩევნები; 6. საზოგადოების საბჭოს შემადგენლობის ახალი არჩევნები: საზოგადოების თავჯდომარისა, მისი ამხანაგისა, მუზეუმის მცველისა, მდივნისა, ხაზინადრისა, საბჭოს ოთხის წევრისა და მათი სამი კანდიდატისა; 7. სარევიზიო კომისიის წევრთა ახალი არჩევნები.

*) მოხსენების საილუსტრაციოდ იქნება ნაჩვენები ხსენებულ ნაშთების გეგმები და სურათები. 1—2585—1

სახელმწიფო თეატრი.

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

პირველ აბონიმენტზე ჩაწერილ პირებს შეუძლიანთ მიიღონ აბონიმენტები თეატრის კასაში ოქტომბრის 7-დან

კასა ღიაა იქნება დილის 10-დან 2-დის და საღამოს 6-დან—8-დის.

პირველი აბონიმენტი ოქტომბრის 4-ს **„აბესალომ და ეთერ“**

ეროვნულ-ოლითიკური ეფემერიდა

ეროვნული ფასი 3 მან.

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, ციფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო ბლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამეჯლოებისათვის **საგანგებოდ დამზადებული** ნახშირი და **დიდ-ძალი კირი, საუკეთესო** ხარისხის და ხე მისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ-წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ № 11—45.

1002 15 10 **ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო.**

ხონის ამბავი

დამფუძნებელ კრებაში დროებით მოიხსნა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა შესახებ ხონის ამბებისა. ფრაქციამ საჭიროდ დაინახა თავისი წევრის გაგზავნა ხონში საკითხის ადგილობრივ გამოსარკვევად. ამ ჟამად ფრაქციას უკვე ყველა საჭირო მასალები ხელთ აქვს და შეკითხვაც დაისმება დამფუძნებელს კრებაში პირველსავე სხდომაზე.

ის, რაც მოხდა ხონში, ფრიად დამახასიათებელია ჩვენი ადმინისტრაციის და საქალაქო თვითმართველობის მოღვაწეობისა.

რა მოხდა ხონში ისეთი, რომ საჭირო ყოფილ იყო ასეთი რეპრესიების მიღება, მაგალითად ხალხის აღელვება და გაღიზიანება? არაფერი ასეთი. მოხდა ის, რაც მოხდა და ეხლაც ხდება სხვა ასეთსავე პატარა ქალაქებში. ამ ქალაქების მცხოვრებნი არ თანაუგრძნობენ ქალაქების ეხლანდელ წყობილებას, საქალაქო მმართველობათა პოლიტიკას და სხ. მცხოვრებნი სრულიად ლეგალურად და მშვიდობიანი გზით იმუშავებენ თხოვნებს მთავრობის სახელზე, რომ ამ პატარა ქალაქების ეხლანდელი წყობილება შეიცვალოს თანახმად მცხოვრებთა სურვილისა.

მაგრამ ეს ხომ ამ ქალაქის ეხლანდელ მეთაურთა წინააღმდეგ წასვლაა, მათი არა რათ ჩაგდება? ასეთი ამაღური კილო აქვთ შეთვისებული ქალაქის და სოფლის ეხლანდელ მეთაურებს. ყოველივე ასეთი ეხლანდელ და შუამდგომლობა უკვე „რევოლიუციონური მონაპოვარის“ წინააღმდეგ წასვლას მოასწავებ, რეაქციას და კონტრრევოლიუციას! და თუ ეს ასეა, ყოველივე ასეთი მოვლენების წინააღმდეგ მათ ხომ სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ! ასეთია მათი ლოგიკა და ამის შემდგომ რა გასაკვირველია თუ მათ მრავალი კურიოზული და სასაცილო, მაგრამ ამასთანავე ფრიად სახიფათო და საშიში ნაბიჯი გადადგან?

ხონშიც ასევე მოხდა. ხალხსა და მის ეხლანდელთა შორის დამყარებულს არა ბუნებრივ ურთიერთობის საფუძველზე ალმოცენდა ფრიად სამწუხარო ექსცესები. ხალხს გაგება, ხალხის ანგარიშის გაწევა ყოველი გონიერი მთავრობისთვის არის სავალდებულო; ხოლო ასეთი მაგალითები, როგორც ხონის და სხვა ასეთი ქალაქების მანიკენთა მიერ ხალხის ინტერესების დავიწყება, ყოველთვის ასეთს ცუდს შედეგებს იძლევა.

გათოშის შესახებ

ბ. დავით ლამბაშიძეს „ბორბა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განუცხადებია:

— როგორია ამ ჟამად ბათომის და ბათომის ოლქის სურიდიული მდგომარეობა?

— ამ მხრივ ძალაში რჩება ვერსალის საზავო კონფერენციის ძველი დადგენილება. როგორც ოლქი, ისე ქალაქი შედის იმ ზონაში, რომელიც დაპირილია ბრიტანეთის სარდლობის შავი ზღვის ლაშქრის მიერ. სამხედრო ძალა უფლება ბრიტანეთის სამხედრო უფლებანატარის ხელშია. მასვე ექვემდებარება სამოქალაქო მმართველობა.

— როგორ უყურებს ბრიტანეთის სამხედრო გუბერნატორი საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდას, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ეწევიან?

მე კატეგორიულად ვამტკიცებ, რომ ბრიტანეთის სარდლობას ეს პროპაგანდა არ მოსწონს. მე ვიცი რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ასეთ პროპაგანდის წარმოებისათვის რამდენიმე ადგილელ თანამდებობიდან იქმნა გადაყენებული. ბრიტანეთის სარდლობამ არა ერთხელ განაცხადა უარი იმის შესახებ, რომ იგი არავითარ გავლენას არ მოახდენს მცხოვრებლებზე ამა თუ იმ ორიენტაციის მისაღებად.

— როგორ უყურებს ბათომის და მის ოლქის მოსავალ მოწყობას საზავო კონფერენცია?

— კონფერენციის გავლენიან მოღვაწეთაგან მიღებულ ცნობებით მე შემიძლიან სრულის რწმენით განვაცხადო, რომ კონფერენციას მიუღებლად მიაჩნია ის მისაკუთრების სურვილები, რომელსაც იჩენენ ბათომის ოლქის მიმართ მასთან გეოგრაფიულად არა უსაშუალო კავშირში მყოფი კუთხეები.

— რა ხასიათისაა ის კომპანია, რომელსაც აწარმოებენ ამ ჟამად ბათომის ოლქში მოხალისეთა ლაშქრის აგენტები

— ამ კამპანიას ორი მიზანი აქვს. მოხალისეთა აგენტები, უპირველეს ყოვლისა, აწვდიან გლეხთა ყრილობას საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ რეზოლიუციას. თუ ყრილობა რეზოლიუციას არ მიიღებს, მაშინ იგივე აგენტები ურჩევენ ყრილობას, რომ მიიღონ ისეთი რეზოლიუცია სადაც ოსმალეთისადმი სიმპატიები არის გამოთქმული. ასეთი ოსმალოფილური რეზოლიუცია ყრილობის მიერ მიღების შემდეგ იგზავნება პარიზს საზონოროთან. აქ რეზოლიუციას გამოიყენებენ იმის დასამტკიცებლად რომ ვითომც ბათომის ოლქი ჯერ კიდევ ოსმალეთისკენ ისწრაფის და ამიტომ როგორც ასეთი მეტად სახიფათო კუთხეა რუსეთის აღორძინებისათვის.

— როგორ იქცევიან ასეთ ყრილობებზე დამსწრე ინგლისელი ოფიცრები.

მათი როლი სრულიად პასსიურია. აღმაღლეს სარდლობის ბრძანების თანახმად უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ პასსიური კონტროლით, თვალყური უნდა ადევნონ, რომ ყრილობამ არ დაიწყოს მსჯელობა ისეთ საგნებზე რაც მათ მსჯელობის საგანს არ შეადგენს. თუ ზოგიერთი ოფიცერი მონაწილეობას იღებს კამათსა და აგიტაციაში მოხალისეთა ლაშქრის სასარგებლოდ, ამით ის არღვევს სამსახურის დისციპლინას და დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ უმაღლესი სარდლობა მათ ასეთ საქციელს არ მოიწონებს. ხშირად მოხალისეთა აგენტები ცდილობენ იმ გარემოებით, რომ ინგლისელ ოფიცრებს რუსული არ ესმით და ტყუილათ იმოწმებენ თავიანთ აზრებში დამსწრე ოფიცრებს.

ჩემს აზრით ბათომის და მის ოლქის მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ მის შესახებ საჭირო იყოს განგაშის ატეხა.

პრესა

მენშევიკების „დამოუკიდებლობა“.

გაზეთი „ერთობა“ ხშირათ აქვეყნებს მეთაურებს საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ამ საკითხის შესახებ მენშევიკური ყოველთვის გაჩერებული თავი ზედმეტ რეყეაშია. დამოუკიდებლობა მენშევიკებისთვის ტაქტიკის საკითხია. და აზრი ამის შესახებ იმდენჯერ იცვლება, რა ჯურის დამპყრობელი მოადგება თფილისს.

დამოუკიდებლობა მათთვის არ არის „ფეტიში“—დენიკინთანაც შეიძლება მოლაპარაკება, ლენინთანაც, ენვერფაშასთანაც, გერმანიასა და ინგლისთანაც და „ერთობა“ ყოველთვის მონახავს ხერხს, რომ მარქსისტული აუცილებლობის კანონით ახსნას საქართველოს გადადგომა. ყოველთვის მენშევიკებს ძალა უფლების შერჩენის საკითხი უფრო აინტერესებს და ამიტომაც მათი ფლიუგერი ასე ხშირად იცვლება მაგრამ ხშირათ „ერთობა“ მანილოვის სანტიმენტალურ გულჩვილობას იჩენს. და თავშეუკავებლათ მოყვება ტრაბახს. უკანასკნელ მეთაურში „ერთობა“ ეხება დამოუკიდებლობის შერჩენის საკითხს და შემდეგს სწერს:

ჩვენ გვგონია, რომ დღეს ყველასათვის უდავო უნდა იყოს ჩვენი არსებობის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპები ჩვენი მშვიდობის მოყვარეობა და სახელმწიფოებრივი განვითარების უნარი. პირველი ჩვენ დავამტკიცეთ მეზობლებთან ურთიერთობით. სომხეთის მიერ ხმალ ამოწვდილი შემოტევის დღეებშიაც კი ჩვენ არ გვიღალატნია ამ პრინციპებისთვის. სომხეთს ვეომებოდით, სანამ იგი წინ მოიწევდა და შევჩერდით, როცა ის უკუ-ვაქციეთ.

სად ნახულა ომის მოყვარე და იმპერიალისტურ ქვეყნების ასეთ წუთში შეჩერება, თუნდაც დიდი სახელმწიფოების გავლენით?

საქართველო კი შეჩერდა იმიტომ, რომ იგი არ იყო იმპერიალისტური და არ იყო ომის მოყვარული. დღესაც ყველა სადავო საკითხებში, რომელიც არის ჩვენს და მეზობლებს შორის, საქართველო იჩენს **მაქსიმუმ ლოიალობას, და მაქსიმუმ დათმობაზე** მიდის კეთილი განწყობილების დასამყარებლათ ახლოპელ რესპუბლიკებთან.

ეს იმდენათ ნათელია, რომ დღეს უდაოთ უნდა იყოს აღიარებული ყველასაგან, ვინც განზრახ არ დაიბრმავებს თვალს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეზე.

და თუ კავკასიის სხვა რესპუბლიკებიც ამ საერთო გზას დაადგებიან, მშვიდობიანობა და ეკონომიური პოლიტიკური წარმატება ჩვენი მხარისა და ყველა ამ რესპუბლიკების უზრუნველყოფილია. ჩვენ დიდი იმედიგვაქვს, რომ ეს გზა საბოლოოთ გაიკაფება ჩვენს სინამდვილეში დამოუკიდებლობის დღიდან აქნობამდე ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული. ურთიერთობა, ერთმანეთის ძმობა, საერთო ენის გამონახვის საშუალებანი დღეს ათჯერ მეტია, ვინემ იყო ის კრიტიკულ ხანაში, როცა ერთმანეთს ვშორდებოდით, ცხოვრების გამოცდილება პოლიტიკური ზრდა კიდევ უფრო გაადვილებს ერთმანეთის ძმობას და შორს არაა ის დრო, როცა ყოველი დავა ჩვენ შორის სრულიად მოსპობილი იქნება“.

ასე აჯერებს თავის თავს „ერთობა“.

თურმე დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის მარტო დათმობაა საჭირო.

მართალია! მენშევიკებს ამ საქმეში ვერავინ შეედრება — მათ იოლად შეუძლიანთ სხვებს დაუჯმონ რაც კიდევ გადარჩა მათ ხარბ და გაუმაძღარ კალიებს—მაგრამ განა ამით შეიძლება საქართველოს პრესტიჟის აღდგენა.

მართალია მარტო მენშევიკებს შეეძლოთ უფრო გაეძლიერებინათ ისეთი მტერი, როგორიც სომხეთი იყო, რომელიც ქართველმა ხალხმა ბრძოლის ველზე დაამარცხა სამარცხვინო ზავით. ამგვარ აბსურდს ვერც ინგლისელები ბაიგებენ და ვერც ვერავინ სხვა.

ტყუილად ჰგონია „ერთობას“, რომ სისუსტისათვის და მერყეობისთვის ვინმე სხვის ქებას დაიმსახურებს, თუ არა მტრებისას და ამით ჩვენი დამოუკიდებლობა უფრო განმტკიცდება. მაგრამ წინაალმდეგში მათი დაჯერება ხომ შეუძლებელია.

ბაქოს მენშევიკეგი ინგლისის წარმომადგენლებზედ

ბაქოს მენშევიკების გაზეთი „ისკრა“ ეხება მისტერ ოლივერ უორდროპის ბაქოში ტუმრობას და შემდეგი სიტყვებით იხსენიებს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს:

„ვინ არ ყოფილა ბაქოში უცხოელ სტუმართაგან, „მისი ბრიტანეთის უდიდებულესობის“ და სხვა მერყევ ტახტების დავალებით რომ მოდიოდნენ.

ყველა ეს ტომსონები, მატელვორტები, კორი და ჰასკელები—რა მისცეს მათ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, გარდა დამსხვრეულ ილუზიებისა, ნაციონალისტურ შუღლის თესვისა, დიპლომატიური ტყუილების და სისხლის მდინარეების“.

რა ალაპარაკებს ამ ენით ბაქოელ მენშევიკებს,

ის ვისც მათ იცნობს, მისთვის ეს ენა გასაკვირი არ იქნება:

ბაქოელი მენშევიკები ყოფილ ძველი რუსეთისაგან ჩამორჩენილი ეშელონების მემკვიდროებაა და მაძიებლები თავისი ძველი დიდებისა.

ამ ძიებას კი ისინი ყველგან მიყავენ და დღეს ისევე „ა-ყენენ ტახტებს“ თუნდაც ეს ტახტი დიდი ბრიტანეთის იყოს, როგორც ხვალ გაამაგრებდენ ასეთსავე ტახტს, თუ ეს ტახტი რუსეთში აღდგებოდა.

მაგრამ ბაქოს მენშევიკებს განსაკუთრებით ერთი გარემოება ალაპარაკებს:

ისინი სწერენ: „რა მისცეს მათ (ინგლისელებმა) ამიერ-კავკასიის დემოკრატიას დამსხვრეულ ილუზიების გარდაო“.

ბაქოელი მენშევიკები ერთში არიან მართალნი: ილუზიები მართლა დაიმსხვრენ, მაგრამ არა ამიერ-კავკასიის დემოკრატიის, არამედ ბაქოელ მენშევიკების:

მათ ეგონათ, რომ ინგლისის ამიერ-კავკასიაში მისვლით ვანადგურდებოდენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები და „მოკავშირე რუსეთი“ აღსდგებოდა თავის „უფლებებში“, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამგვარი არაფერი მომხდარა და ბაქოელი მენშევიკები მომავალში ალბათ კიდევ მეტ შხამს გადმოანთხევენ „მოკავშირეთა სახელმწიფოების“ მიმართ

მენშევიკების ენას ძვალი არასოდეს არ ჰქონია, მაგრამ ჩვენ ძრიელ გვაკვირვებს, თუ რათ არ მოუძებნის მათ ამ ძვალს აზერბაიჯანის მთავრობა.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის წარმომადგენელმა პოლკ-მა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს განუცხადა, საზავო კონფერენციის მუშაობა განუსაზღვრელ დრომდე გაგრძელდება, რადგან მოკავშირეთა შორის უთანხმოებაა და რუმინია კონფერენციას არ ემორჩილება.

ბოლშევიკურ ცნობით ივლისში იაპონიასა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის ჩინეთში გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ ამერიკის ხაზინას ხელშეკრულება დაიდო.

ციმბირიდან ამერიკის ჯარი მიდის.

ჩეხიის ნაციონალისტური წრეები პოლონეთთან ომისთვის ემზადებიან.

ფინეთის მთავრობა საბჭოთა მთავრობას საზავო წინადადებაზე პასუხს არ აძლევს.

ინგლისის ფლოტი ფინეთის ყურიდან არ გადის.

გენერალი როძიანკო ჩრდილოეთის ლაშქრის პეტროგრადის განსათავისუფლებლად მოუწოდებს.

არხანგელსკის თეთრ გვარდიელთა მთავრობამ ფულის გამოცემა შესწყვიტა რადგან ინგლისმა ჩრდილოეთის დახმარებაზე უარი განაცხადა.

პოლონეთის ჯარმა მდ. ბერეზინა გადალახა. ბოლშევიკები ჩრდილოეთის და სომხეთის ფრონტზე იხევენ.

აღმოსავლეთის ფრონტზე, ბუშუევსკის დასავლეთით ბოლშევიკებმა რამდენიმე სოფელი აიღეს.

საქართველოს დელეგაცია საბახტარაშვილის მეთაურობით დღეს იტალიას მიემგზავრება.

მისტერ ოლივერ უორდროპი ბაქოდან დაბრუნდა.

ქართველები რუსეთში

ეპ. ალექსიის მიმართვა ოდესაში მყოფ ქართველ ელჩისადმი.

ქართველ ელჩის ე. ი. უშვერიძის სახელზე ეპისკოპ ალექსის შემდეგი მიწოდება ჯუგზავნია ოდესაში. „ჩემამდის მოახწია ცნობამ, რომ ქართველები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ სამღვდელოების განთავისუფლებაში და ისეთ საქმეებს ეწეოდნენ, რომლებიც მოწმობენ მათ ერთგულობას რუსეთის მართლ-მადიდებელ ეკლესიისადმი. უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ჩემგან და მთელ ეპარქიისაგან გულითადი მადლობა ამის გამო და გადასცეთ იგი საუკეთესო მეგობრებს სარწმუნოების მხრივ—სულის რაინდებს—ქართველებს.

ქართულ საელჩოს წასვლა ოდესიდან.

„ოდესის ლისტ.“ უკანასკნელ ნომრებში შემდეგი ცნობები გვხვდება ქართულ საელჩოს ოდესიდან გასვლის შესახებ.

ქართველ ელჩისგან.

ჩემს სახელზე აგვისტოს 18-ს 1 სექტემბერს შემდეგი წერილი მივიღე.

„გენერალ დენიკინის მთავრობას და საქართველოს შორის შექმნილ მდგომარეობის გამო, მოხალისეთა ლაშქრის მე-3-მე კორპუსის უფროსს მიუღებლად მიაჩნია თქვენი მოღვაწეობის გაგრძელება, როგორც საქართველოს ელჩისა. ამასთან მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ თქვენ იცხოვროთ ქ. ოდესაში როგორც კერძო პირმა. შემდეგში გაუწყებთ თუ ვის მიენდობა უცხო ქვეშევრდომთა დაცვა.

პოლკოვნიკი **ტუგან-ბარანოვსკი.**

ზემოდ მოყვანილ დოკუმენტის გამო იძულებული ვარ რა დავტოვო ქ. ოდესა, არ შემიძლიან გულითადი მწუხარება არ გამოვთქვა იმის გამო, რომ მე არ მეძლევა საშუალება დავასრულო ყველა ის საქმეები, რომელიც მომანდვეს აპრილის დასაწყის ოდესიდან გასულ მისიებმა, რის გამო არ შემიძლიან მატერიალური და უფლებრივი დახმარება აღმოუჩინო როგორც უცხო, ისე რუს მოქალაქეთ. ვსარგებლობ რა შემთხვევით, გულითად მადლობას უძღვნი ყველა მათ, ვინც ამ 5 თვის განმავლობაში ქართულ საელჩოსთან ერთად მუშაობდა გაჭირვებულთა დასახმარებლად.

მადლობას ვწირავ კერძოდ, საელჩოთა საბჭოს კოლეგიებს, საელჩოსთან არსებულ საევაკუაციო კომისიის წევრებს, უცხო კოლონიების თავმჯდომარეთ და წევრებს.

საჭიროდ მიმაჩნია აგრეთვე აღვნიშნო, რომ ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო დრამატიულ თეატრში შაბათისათვის დანიშნული წარმოდგენა ყველა, გაჭირვებულთა სასარგებლოდ განუზრახავად ეროვნებისა, არ შესდგება. მაინც მხურვალე მადლობას უძღვნი მსახიობებს.

საქართველოს პოლიტიკური მისია იტალიაში

დღეს იტალიაში მიემგზავრება საქართველოს პოლიტიკური მისია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ბ-ნ კ. ბ. საბახტარაშვილის მეთაურობით.

მისიაში იმყოფებიან აგრეთვე მრჩევლებათ საეკონომიო საკითხებში რუსი ჟურნალისტი ვლ. ვოიტინსკი და ბ-ნი კ. ჯაყელი.

მისიის მდივანია ქ-ნი ვოიტინსკისა, რომელსაც დავალებული აქვს აგრეთვე შეისწავლოს იტალიაში სწავლა განათლების საქმე და მოხსენება წარუდგინოს განათლების მინისტრს.

ქრონიკა

მთავრობის თავჯდომარის ავადმყოფობაში ცვლილება არა მომხდარა რა.

გენ. ჰარბორდის მოხსენა. გუშინ თბილისში საღამოს მოელოდნენ ამერიკულ მისიის უფროსს გენ. ჰარბორდის ქალაქი დილიდანვე ალმებით იყო მორთული.

საგარეო საქმეთა მინისტრს გუშინ წარუდგა უკრაინის წარმომადგენელი ბ-ნი კრასკოვსკი.

მისტერ უორდროპის ჩამოსვლა. თბილისში დაბრუნდა ბაქოდან მისტერ ოლივერ უორდროპი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რწმუნებულის ადერბაიჯანში ბ. ალიშბაიას ერთად.

იარაღის აყრა. შინაგან საქმეთა მინისტრს ხაშურის ქალაქის თავი ატყობინებს დეპეშინ რომ 30 სექტემბერს მთვრალმა შეიარაღებულმა ჯგუფმა იარაღი აჰყარა სამსახურის შესრულების დროს ქალაქის კომისარს. 2 დატუსაღებულია.

რუს ეროვნულ საბჭოს თხოვნა. რუს ეროვნულ საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის თავმჯდომარის წინაშე რომ საბჭოს მიეცეს უფლება რუს-მოქალაქეთა რეგისტრაციისა.

მატყლის გამოტანის ნებართვა. ფირმა „სტუკენმა“ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე რათა მას ნება მიეცეს მატყლის გამოტანისა ახალქალაქის მაზრიდან, ვინაიდან ადგილობრივი ადმინისტრაცია ამის ნებართვას არ იძლევა.

ქართველი მოწაფეები გერმანეთში. გერმანეთის მთავრობამ წინადადება მისცა საქართველოს მთავრობას. გაგზავნონ გერმანიაში აღსაზრდელად 300-დე ქართველი ბავშვი.

ათონის მონასტრის დელეგაცია. სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა ძველ ათონის მონასტრის დელეგაცია, რომელიც გუშინ გამოცხადდა გარეშე საქმეთა სამინისტროში და აუწყა მათ წარმომადგენელმა მღვდელმონაზონმა ილიამ ის აუტანელი გაჭირვებული მდგომარეობა რომელშიაც ჩაცვივნულ არიან იქაური მცირე ჯგუფი ქართველობისა. მათ სთხოვეს საბერძნეთის მისიის საშუალებით მოგვარდეს მათი მდგომარეობა.

ინგლისელი მექანიკოსები. საქართველოს მთავრობას აზრად აქვს სატრანსპორტო სამსახურში 50 ინგლისელი—ინჟინერი და მექანიკოსი მოიწვიონ.

მ. პაპაჯანოვი. სომხეთის საზავო დელეგაციის წევრმა მ. პაპაჯანოვმა დელეგაციის წევრობას თავი დაანება.

სოც. ფედერალისტთა მე-4-ე კონფერენცია დამთავრდა.

ქალაქის საარჩევნო კომისიის საყურადღებოდ. დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო კომისია იძულებულია ერთხელ კიდევ გაცნობადოს რომ, საქალაქო საარჩევნო კანონის ძალით, არჩევნებზე დახარჯული ფულის ანგარიში ასე შეადგინონ: გამოანგარიშებული უნდა იქმნეს მთელი ჯამი ხარჯებისა. ამ ჯამიდან 25 პროც. ქალაქმა უნდა გადიღოს. დანარჩენი უნდა დაიფაროს ცენტრალურ კომისიის მიერ მიცემულ ავანსებიდან.

სტუდენტთა ცხოვრება

განათლების სამინისტრო შეეკითხა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. კავშირის გამგეობას, აცნობონ მათ თუ რა უჯდება ცხოვრება თვითეულ სტუდენტს თვიურად.

ქალაქის მოურავთან. სახუნივ სტ. კავშ. კამგეობის წარმომადგენლებმა ინახულეს ქალაქის მოურავი და სთხოვეს მას დახმარება, სტუდ. საერთო ბინის მოწყობის საქმეში. ქალაქის მოურავმა დახმარება აღუთქვა მათ და აღუთქვა მათ, რომ ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში სემინარიამდე გაყვანილ იქმნება ტრამვაის ლიანდაგი.

სომეხთა ეროვნულ საბჭოში საქარ. სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ბაგრატ. თოფჩიანი (დაშნაკცაკანი) მის თანაშემწედ ა. მხითარიანი (სომ. სახალხ. პარ.) მდივნად კი ლაზო (ჰინჩაკისტი).

სომხეთის სახელმწიფო თეატრი სომხეთის მთავრობის დადგენილებით სომხეთის თეატრი გამოცხადდება სახაზინოთ და მას ყოველ-თვიურად ხაზინიდან დახმარება აღმოეჩინება. ერევნის თეატრის რეჟისორი სეუმიანი მიდის სტამბოლში, სომხურ დრამატიულ სტუდიას მოსაწყობად.

ყარსის ოლქის ლტოლვილნი ვინაიდან ყარსის ოლქში მაჰმადიანთა დევნა დაწყებულა სომეხ-მალაკანთა და ბერძენთა მხრივ ახალქალაქის მაზრაში დუხობორთა რაიონში დაწყებულა დევნა მაჰმადიან ლტოლვილთა მომეტემულ ნაწილათ პავშვთა და დიაცთა საქართველოსა და აზერბაიჯანისაკენ.

მოუსავლობის გამო. დუხობორთა დელეგაცია გამგზავრებულა აზერბაიჯანსა და ჩრდილო-კავკასიაში პურის შესაძენად.

ბეშოაშენის ეროვნულ საბჭოს წევრის სევასტიანოვისაგან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ამერიკული ფქვილი რომელიც ბოჩალოს მაზრის ს. გიუმბათისთვის იყო დანიშნული გზაში გაძარცვეს და გიუმბათის რწმუნებულს სცემნს. ბრალი ედებათ ამ საქმეში ბეშტაშენელ მასწავლებელთ მიხაილოვს, იოანიდის და კომისარიოამიდის. წალკის კომისართ არ ღებულობს ზომებს. გთხოვთ უბრძოთ განკარგულება ენერგიულ ზომების მისაღებათ ბოროტ-მოქმედების აღმოსაჩენათ

უკვალოთ დაკარგულნი. ახალქალაქის მაზრისა ს. გორელოვკიდან მინავალი სამი დუხობორელი მეფურგონე უკვალოთ დაკარგულა ცხენებიანათ და ფურგონით.

დუხობორელთა თხოვნა. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე დუხობორთა სათემო კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა რომ მან უბრძოს ნებართვა საქართველოს საზღვრებში შეიძინოს ხორბალი და ქერი ათ ათი ათასი ფუთი ვინაიდან ახალქალაქის მაზრაში ნათესი გაფუჭა სეტყვამ და ყინვებმა. აგრეთვე კომიტეტი სთხოვს ბ-ნ ჟორდანიას ნება უბრძოს მიწათ მოქმედების სამინისტროს ხორბლიდან რომელიც ს. ბაბკიშეთშია დაგროვილი 2 ათასი ფუთი მიიღონ სათესლეთ. ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარემ ორივე შუამდგომლობა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრის დასაკმაყოფილებლად.

სასოფლო სამეურნეო კურსები (მიწად-მოქმ. სამ.) მსმენელთა კრება. პარასკევს 3 ოქტ. სალამოს ლექციების შემდეგ დანიშნულია მსმენელთა სასწრაფო კრება, რომელსაც მსმენელები აუცილებლად უნდა დაესწრონ. განსახილველი საკითხებია: 1. გამგეობის მოხსენება, 2 ახალი გამგეობის არჩევა; 3. ლექციების საკითხი; 4. კურსების საკითხი და სხვა.

დახმარება ვ. აბაშიძეს. დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ დაადგინა დამსახურებულ მსახიობს ვ. აბაშიძეს მიეცეს სახელმწიფო თეატრის თანხიდან ყოველ თვიურად 1500 მან. დახმარების სახით, სანამ მთავრობა მოაგვარებდეს საერთოდ მსახიობთა ნივთიერად დახმარების საქმეს.

ტენისის სექცია. ტან-სავარჯიშო „შევარდენი“-ს საზოგადოებისა აცხადებს, რომ „ლაუნ-ტენისი“-ნ თამაში განახლდა, წევრების ჩაწერა მიღება საზოგადოების შენობაში (კუთ. ალექსანდრეს და ფეიერვერკერის ქუჩ). კვირაობით 12-დან 3 საათამდე და ოთხშაბათობით 5-დან 7 საათამდე. მოკლე ხანში სექცია მართავს შეჯიბრების პირველ ხარისხობაზე.

ბოროტ მოქმედებანი

ქურდობა. 30 ნკენ სთვეს ტოლის ინიდან (აფანასიევის ქ. № 36) ბოროტ-მოქმედებმა 15,000 მან. და სხ. და სხ. ნივთები მოიპარეს. ქურდები ვერ იპოვეს.

ყალბ ბონების მჭრელნი. შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით სამეულნი და ჩაკი რომელსაც ყალბ ბონების მოჭრა ბრალდებათ იგზავნება საქართველოს საზღვრებიდან.

გენ. ბარათოვის ყუმბარის მსროლელნ. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით იბრაგიმ აღა ოღლი და კორენშტეინი გადარიცხულ იქმნენ უდიდეს საქმეთა გამომძიებლის ჯორბენაძის ხელში, რომელიც აწარმოებს ამ საქმეს.

ყაჩაღთა შეპყრობა. ამ დღეებში არსენალს ახლოს შეიპყრეს კოჯორის გზაზე ფოსტის გაძარცვის 3 მონაწილეთაგანი, რომელნიც აღმოჩნდნენ: საგუბერნიო ბათალიონის ყოფილი ჯარის კაცები. ვ. ანდღულაძე და ალ. სანუკვაძე და სამაზრო კომისარიატის მილიციელი ი. რუსია. დაჭერილნი ბოროტ-მოქმედებაში ვამოტყდნენ.

ბოროტ-მომქმედი გვარდიელი. 30 ენკენისთვეს მილიციელებმა მადათოვის ქუჩაზე შეიპყრეს გვარდიელი დივიზიონის გვარდიელი ე. კაკაბაძე, რომელსაც გვარდიის დივიზიონის საწყობიდან 15,000 მან. საქონელი მოუპარავს.

მკვლელობა. 20 ენკენისთვეს მილიციის სამმართველოს არქივში ის. სიგუამ უცაბედათ რევოლვერის ტყვიით მოჰკლა იქ მდგომი თედ. სიგუა.

სამხატვრო ქრონიკა

ხტუდიაში. ცნობილი მოცეკვავე ქალი ბარონესა კლეისტი (ქართველი ტომით) ქართულ სტუდიაში იქმნა მიწვეული.

„შევარდენი“ ქუთაისში

დღეს საღამოს ქუთაისს მიემგზავრება თბილისის ქართველ შევარდენთა 60 კაცისაგან და ქალისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც კვირას, ქუთაისში გაჰმართავს ტანსავარჯიშო გამოსვლას.

სხვათა შორის მოვარჯიშენი აჩვენებენ ვ. ეგნატაშვილის მიერ შედგენილ სიმბოლიურ ვარჯიშს „საქართველოს ვარსკვლავს“ ვარჯიშობით გამოხატული იქნება საქართველოს ბედის ვარსკვლავის დაბადება და განვითარება. ამ შექმნის პროცესში უცაბედ საიდღანაც მტერი ჩნდება. ვაჟკაცნი კერას გარს ეხვევიან და ქალნი კი შუაში ეროვდებიან ძმები დების დახმარებით ამარცხებენ მტერს და დასასრულ ჰმართავენ გამარჯვების ზეიმს.

ვარჯიში მით არის შესანიშნავი რომ მიუხედავად მისი სიმბოლიურობისა არ არის ტანვარჯიშულ მოძრაობას გადამცემი. იმავ საღამოს მოხდება ქუთაისის შევარდენის დაარსება, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ცნობილი მოვარჯიშე დ. ჯავრიშვილი.

საგარეო დაწესებულებათა ოლიური ანგარიში

(1918 წ. 26 მაისიდან 1919 წ. 26 მაისამდე)

საანგარიშო წლის განმავლობაში შემოიტანეს ჩვენში სხვა და სხვა საქონელი სულ წონით 3858584 ფ. შეფასებით 304.816,214 მანეთისა. შემოტანილ საქონელზე ბაჟის დადებით და სხვა გადასახადებით შემოსულა სულ 12.904,176 მ. 15 კ. ცალკე თვიურად კი:

1918 წ.	მაისი	ბაჟი სხვა გადასახადი	
1918 წ.	მაის.	„ 28 მან.	
			მ. კ.
„	ივნ. .	1306,01	940,91
„	ივლ..	198141,36	3839,44
„	აგვ. .	486924,89	233611,64
„	სექ..	1150664,08	324076,95
„	ოქტ.	1053588,56	429307,19
„	ნოემ.	893957,77	327329,27
„	დეკ .	946997,71	329597,42
1919 წ.	იანვ.	629608,65	243696,30
„	თებ..	852548,67	335296,80
„	მარ..	893330,03	472396,12
„	აპრ..	1411756,61	573487,51
„	მაისი	699344,22	402395,44
სულ . . .		9218173,16	3686002,99
ჯამი.			12904276,15

საქართველოს ტერიტორიიდან საანგარიშო წლის განმავლობაში გაიტანეს საზღვარ გარეთ სხვა და სხვა საქონელი სულ საერთო წონით 810,3209 ფ. შეფასებით 158,439931 მან.

რაოდენობა შემოტანილ და გატანილ ტრანზიტულ საქონლებისა შეადგენს შემდეგს: შემოიტანეს და დასტოვეს 408494 ფუთი და გაიტანეს კი 8590979 ფუთი.

საანგარიშო წლის განმავლობაში დღიდგან საქართველოს საბაჟოების დაარსებისა შეყენებული იყო 589 კონფისკაციური საქმე შეფასებით 3321443 მან. 78 კ. აქედან 369 იყო დაჭერილი საბაჟოს მოქმედების ფარგლებში და დანარჩენი 170 კი ფარგლებს გარეშე.

2) აქედან სასამართლოს გადაეცა გასარჩევად 67 საქმე და დანარჩენი 433 საქმე გაარჩია საბჭომ ადმინისტრატიულად; ამ უკანასკნელად საბჭომ გაანთავისუფლა 91 საქმე საერთო შეფასებით 247983 მანეთისა.

3) უკვე დაბოლოვებულ საკონფისკაციო საქმეებიდან შემოვიდა სულ ჯარიმა და სხვა გადასახადები 241882 მანეთი.

4) მთავრობის განკარგულებით განთავისუფლებულ იქნა 14 ვაგონი სხვა და სხვა საქონელი 700000 მანეთისა.

5) კონტრაბანდათ იპირებოდა განსაკუთრებით შემდეგი ხასიათის საქონელი: შაქარი, მომპასიე, ჩაი, მედიკამენტები, მაგარი სასმელები და ღვინო, ფართალი, კაკალი და თხილი, ერბო, ბუმბუმა, ჰაპიროსის ქაღალდი, თუთუნი, ტყავი, ლობიო, კაუსტიკური სოდა, ფქვილი და სხვა წვრილმანი საქონელი.

სომხეთში

(სომხ. დეპ. სააგენტო).

ხენ. ჰარბორდი სარიყამიშში.

ერევანი, ენკენისთვის 29. დღეს დილის 7 საათზე სარიყამიშში ავტომობილებით შემოვიდა გენ. ჰარბორდი ერთი გენერლის, 7 აფიცრის და 100 კაცისგან შემდგარი სამხედრო ამალით თანხლებით.

გენ. ჰარბორდმა ინახულა აფიცრების კლუბი, მან მიიღო სამხედრო აღლუმი, და მცხოვრებთა მისალმებანი. „საუზმა, დაათვალიერა ადგილობრივი... (დამახინჯებულია), მადლობა გადაიხადა პატივისცემისთვის და გაემგზავრა ყარსში.

გენ. ჰარბორდი ყარსში.

გენ. ჰარბორდის მატარებელი დღის საათის 7-ზე მოახლოვდა ყარსის რკინის გზის სადგურს. ყველა ციხეებიდან (სომაგრეებიდან) ზარბაზნების 21 ჯერ სალამის სროლის დროს გენერალმა მიიღო ქალაქის თავის მისალმება ყველა საპატიო დაწესებულებების და მცხოვრებთა წარმომადგენლების მიღების შემდეგ გენ. ჰარბორდი ავტომობილებით და 300 ცხენოსნის თანხლებით გაემგზავრა მეციხოვნე ჯარის უფროსის სახლისკენ, სადაც მიწვეული იყო სადილზე. ხალხმა მხურვალე ოვაციებით მიიღო გენერალი, და ჯარისკაცები „ვაშა“-ს ძახილით მიეგება კორტეჟს, როდესაც ის მიეახლოვდა მეციხოვნე ჯარის უფროსის სახლს.

მთავრობის თავმჯდომარე კრეისთან.

ერევანი, ენკენისთვის 27—დღეს მთავრობის თავმჯდომარე სადარბაზოდ იყო ინგლისის წარმომადგენელ კაპიტან კრეისთან.

ოსმალეთში.

მდგომარეობა სტამბოლში.

(თურქული ინფორმაცია).

ბაქოს გაზ. „ბასირათ“ სწერს: „სტამბოლიდან მოსულნი გადმოგვცემენ, რომ იქ მდგომარეობა გამოცვლილია. მუსტაფა ქემალ ფაშის მიერ ანატოლიაში მოწყობილ აჯანყების გამო.

ამ აჯანყებამ მოკავშირე სახელმწიფონი მეტად დააფიქრა.

სტამბოლიდან მათი ჯარები თან და თან მიდიან.

ბერძნები ოსმალურ დროშის მაგიერ ბერძნული დროშა გამოეფინათ სტამბოლის სხვა და სხვა დაწესებულების წინ.

ოსმალურ პოლიციას ეს დროშები დაეხია. ოსმალები უკვე თავიანთ საქმეს შესდგომიან. სტამბოლსა და სხვა ადგილებში სრული განწყობილება მეფობს.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ გაზეთებიდან.

გენ. მილნი—საგანგებო გამომძიებელი ანატოლიაში

გენ. მილნი დაინიშნა მოკავშირეთა მიერ ანატოლიის გამომძიებლად. მისი შტაბის სადგური იზმირში იქნება. მას მინდობილი აქვს აგრეთვე ბერძენ ჯარების მიერ დაკავებული ადგილების საზღვრების გამორკვევა.

(„ისლ. გუჯისტან“).

ოსმალები და იზმირის საკითხი

„ჟურნალ დ'ორიან“ ის იზმირის კორესპონდენტი იუწყება, რომ ადგილობრივი ოსმალური პრესსა პროპაგანდას ეწევა, რომ ინგლისმა აიღოს მანდატი იზმირზე.

საქართველოს სავაჭრო პალ. საუურადღებოთ

I

ნორჩ ქართულ კაპრობა მრეწველობას ისეთს დროს მოუხდა შეკავშირება, და სამოქმედო ასპარეზზედ გამოსვლა, როდესაც ძალა უფლება სოციალისტურ ელემენტებს უკავიათ და პროლეტარულ დიქტატურისკენ მიჰყავთ სახელმწიფო; ისეთ დროში განსაკუთრებით ძნელია ბურჟუაზიული წრეების მდგომარეობა და განსაკუთრებული დაჭიმვაა საჭირო თავისი ძალის და ენერგიის, რომ არამც თუ დაჩაგრული არ იქმნეს მისი ინტერესები, არამედ სრულებით არ დაეკარგოს ყოველივე გავლენა სახელმწიფოებრივ მართველობაში.

ასეთ დროს განსაკუთრებით საჭიროა ყველა ცოცხალი ძალის კონსოლიდაცია, რომ ეკონომიურ აღორძინების მოპირდაპირეს ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიოს. ამ საერთო გასაჭირისა და ბევიწროვების დროს ვაჭარ-მრეწველთ უნდა გაეჩინათ საპროფესიო ორგანო, რომელიც ენერგიით დაიცავდა მათ ინტერესებს განადგურებისაგან. შეიძლება ვინმემ სთქვას, ასეთი ორგანო არსებობსო კადეცა, ეს არის საქართველოს სავაჭრო პალატაო.

მართალია, არსებობს, მაგრამ მან გავლენა ვერ მოიპოვა ვერც მთავრობის და ვერც ვაჭართ მრეწველების წინაშე. რომ მთავრობის წრეებში გავლენა და წონა მოიპოვოს, საჭიროა მწყობრი დარაზმვა თვით ვაჭარ-მრეწველთა და ამ დარაზმულის ძალის სახელით ლაპარაკი და მოქმედება; ხოლო რომ თვით ვაჭართ-მრეწველთა შორის გავლენა განამტკიცოს, საჭირია, მეტი ორგანიზაციული მუშაობა და მეტის სიმტკიცით მოქმედება ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესებისთვის. ჩვენი სავაჭრო პალატა ვერც ერთს ახერხებს და ვერც მეორეს. რადგანაც არსებობს და ვერ მოქმედობს, ამით კიდევ მეტი ზიანი მოაქვს, მატერიალური და პროფესიულ-ზნეობრივი.

მან დასაწყისშივე დააშორა თავისი თავი ვაჭართა ფართო მასსას და შეიქმნა არჩეული ვიწრო წრისაგან, რამაც ავტორიტეტი დაუკარგა საქართველოს ვაჭართა შორის.

მან ვერ შესძლო დაეცვა ვაჭართა წრეების ინტერესები ისეთს საკითხებში რომლებიც განადგურებას უქადის საქართველოს ვაჭრებს და მრეწველებს. ავიღოთ სადღეისო მწვავე საკითხი სანიტარული გადასახადისა. როგორ მოიქცა პალატა ამ საკითხში? რამდენათაც ვიცით, მან მოასმინა მოხსენება ბ. ალექსანდრე ჯაბადარის. და დაადგინა მიეღო ყოველივე ზომა ვაჭართ-მრეწველთა ინტერესების დასაცავათ. რაში გამოიხატა ეს დაცვა? რეალურად თითქმის არ აფერში. ამავე დროს ეგრედ-წოდებულ „ვაჭართ-მრეწველთა დეპუტატების საბჭო ხანდამოვს მეთაურობით დადიოდა ყოველს დაწესებულებაში, დიდ მუშაობას აწარმოებდა და ხმა-მაღლა გაჰკიოდა ვაჭართ-მრეწველთა სახელით. საუბედურეოდ ჩვენდა, ყველა თბილისის ვაჭარ-მრეწველებმა დღეს ამ საკითხში ამ დეპუტატთა საბჭოს გარშემო მოიყარეს თავი.

პრესაში, ქალაქის გამგეობაში და მთავრობაში ისმოდა მხოლოდ ხანდამოვის სახელი და ყველას შეუძლია იფიქროს თითქოს, ხანდამოვი იყოს ჩვენი ინტერესების დამცველი.

ეს საკითხი ქართველ-ვაჭართ-მრეწველთათვის უაღრესად საგულისხმო არის, რადგან პალატის უმოქმედობამ შესაძლოა შეკავშირების ხალისი და ინტერესი დაუკარგოს ქართველ ვაჭრებს და მრეწველებს; ამ გარემოებით არ შეიძლება არ ისარგებლოს, იმ ხანდამოვის ჯგუფმა რომლის გავლენის გაძლიერება არამც თუ სასურველია, არამედ პირდაპირ მავნებელი და შეუწყნარებელი იქნება სახელმწიფოებრივი ნაციონალურ თვალსაზრისით. დასასრულ, სურვილს გამოსთქვამთ, რომ პალატის არაჩვეულებრივმა კრებამ პალატის გამგეობის ყურადღება უფრო პრაკტიკულ მოქმედებას მიაქციოს და მას დაავალოს, რომ ყოველი დიდმნიშვნელოვან საკითხის დროს, პირდაპირ მთავრობას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან გამართოს მოლაპარაკება, ვისაც ეს საკითხები ექვემდებარება, და არა ვაჭრობა მრეწველობის მინისტრთან, რომელსაც ვაჭრობა მრეწველობის ფუნქციები ჩამოერთვა და რომელიც ფაქტიურათ არც არსებობს, როგორც ჩვენთვის ისე, გვგონია თვით მთავრობისთვისაც; ამავე დროს უნდა მოხდეს პალატის რეორგანიზაციაც. არაჩვეულებრივმა კრებამ უნდა მოითხოვოს დამატებით არჩევნები წევრთა რიცხვის გამრავლება და წესდების რამოდენიმე მუხლის შეცვლა ხოლო ჯადოსნური საარჩევნო ინსტრუქცია სულ უნდა შეიცვალოს; უნდა დავაინტერესოთ ვაჭრები და მრეწველები, დავრაზმოთ ისინი პალატის გარშემო, ვიმქმედოთ დარაზმული რეალური ძალა.

სახელით და მის ინტერესიც დავიცვათ. ასეთ პირობებში პალატა არავითარ საკითხებში არ დარჩება გარიყული და უგავლენო არც მთავრობის წინაშე და არც ვაჭარ-მრეწველთა შორისაც, თორემ ქალაქ თბილისის „ვივესკების“ ტექსტის შეცვლის მეტსმას არაფერს მიანდობენ და სულთათანას უგალობებენ პალატას ისე როგორც ვაჭართა უმეტესობამ, უგალობა სულთათანა თბილისის ვაჭართ მრეწველთა კავშირს.

დ. კალანდაძე.

დეპეშები

ღვინობისთვის 2.

მუშათა ყრილობა იაპონიაში.

მოსკოვი. ტოკიოში იაპონიის მთავრობის მიერ მოწვეულ მუშათა ყრილობაზე გამოვიდნენ სოციალისტები ოსუგი საკლეს მეთაურობით, რომელმაც თავის სიტყვაში გამოაშკარავა ბურჟუაზიული მატყუარა ცდა ჩაეჩქმალად კლასთა წინააღმდეგობა. „სოგლაშატელების“ ყრილობა შეწყვეტილ იქმნა. ოსუგი საკლე და მისი მეგობრები დაუპატიმრეს. 28 იაპონიის ქვეითი პოლკი ოფიცერთა წინააღმდეგ აჯანყდა. აჯანყება ჩაქრეს.

კოოპერატივების ყრილობა საფრანგეთში.

საფრანგეთის კოოპერატივების ყრილობამ სიძვირის საკითხის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „ყოველგვარ საქონლის და სურსათის სიძვირე ომმა გამოიწვია. რომლითაც მომარაგებული საქონელი გამოილია და შეიქმნა მუშა ხალხის ნაკლებობა, და აგრეთვე წარმოება დაეცა, დაიშალა ტრანსპორტი და აუარებელი ქაღალდის ფული გამოუცია, საფრანგეთმა უნდა შეიგნოს, რომ მთელი ქვეყნის მეურნეობა აღდგენილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მომარაგება საზოგადოებრივ კუთვნილებად გამოცხადდება და თანასწორად გაიყოფა.

წინათ დევნილნი, დღეს კი მივიწყებულნი მწერალნი

4

ჩვენშიაც, თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკაშიაც, ყოფა-მდგომარეობა ინტელიგენტებისა—ამ ერის ტვინისა—მწარეა. მათ ჩვენში, რასაკვირველია, როგორც რუსეთში, წინდაწინ მოფიქრებით და შურის ძიებით არ სდევნიან, არ ამასხარავებენ, მოღალატეებათ და კონტრ-რევოლიუციონერებათ არ არიან გამოცხადებულნი; იქამდის არ შეუწუხებიათ, რომ ან საზღვარ გარედ გადახვეწილიყვნენ ან შიმშილით მომკვდარიყვნენ. ამ შემთხვევაში ქართველი ინტელიგენტის ბედს ბევრი რუსის ინტელიგენტი შენატრის. და მართლაც, მე ერთმა რუსეთიდან საქართველოში გადმოსულმა პროფესორმა მითხრა: „თქვენში ბედარებით ინტელიგენტები ბედნიერები არიანო. შეიძლება, მართლა ეს ასეც იყოს: შეიძლება, მართლაც, მოდღესასწაულე რუსეთის „ქამშა“, აღვირ წახსნილმა და გამხეცებულმა „დემოსმა“ საზღაპრო და წარმოუდგენელი ბედი არგუნა თავის ინტელიგენციას და რომ, მართლა, ჩვენი ინტელიგენტები, რუსებთან შედარებით, ბედნიერებიც იყვნენ.. სულყველაფერი შესაძლებელი და წარმოსადგენია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართველი ინტელიგენტები თავისთავად ბედნიერები იყვნენ, რომ მათ შესაფერი და საკადრისი ასპარეზი ჰქონდეთ გადაშლილი, რომ მათი საქმიანობას, ცოდნას, ნიჭს, ენერგიას, განსაკუთრებით კი მათს პატიოსნებას და უანგარო მამულის-შვილობას ჯეროვანი გასავალი ჰქონდეს და რომ ბოლოს ისინი, როგორც მოქალაქენი და ადამიანები, მათის განათლების და

რა გგან მის პოლიტიკას ცხადად გამოუცხადეს უკმაყოფილება, აგრეთვე ამერიკის ბურჟუაზიამაც, ვილსონმა ჭკვიანურად გადასწყვიტა დროებითი პოლიტიკურ მუშაობას თავი დაანებოს. გაზეთები რასაავირველია, იუწყებიან რომ ის ავად გახდა და მას სრული სიმშვიდე ეჭვირება.

ბალტიის მხრის ხოციალისტების ყრილობა.

ესტლანდიის, ფინეთის, ლატვის და ლიტვის სოციალისტების ყრილობა მოითხოვს თავის მთავრობათაგან, მიიღონ საბჭოთა რუსეთის საზავო წინადადება და გააკეთონ ყოველივე რომ ზავს მიაღწიონ. ყრილობამ ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს მიმართა მოწოდებით, იბრძოლონ მთელი ძალღონით და ხელი შეუშალონ საზავო მოლაპარაკების წინააღმდეგ მიმართულ იმპერიალისტების ცდას. განმარტებით გამოვიდნენ პრემიერ მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ სეიმის დაუყოვნებლივ მოწვევას საბჭოთა რუსეთის წინადადების განსახილველად.

ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია.

ბალტიის სახელმწიფოების კონფერენცია ფინეთის მონაწილეობით იურევში სექტემბრის 29 გაიხსნება.

ინგლისური პრესა ბოლშევიკებთან ზავის შესახებ

ინგლისის ლიბერალური გაზეთები თათბირობენ რა, ბულიტის გამოაშკარავებათა შესახებ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ინგლისის და საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულებაზე ზავის შეკვრის საკითხის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ წლის გაზაფხულზე და შემდეგ კლემანსოს საბჭოთა რუსეთის და სხვა შეურიგებელ მტრებისაგან შეწყვეტილ იქმნა, მოითხოვენ ზავზე ხელახლა მოლაპარაკებას.

იტალიური პრესა

ვარშავიდან იუწყებია, რომ პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა იტალია-პოლონეთის საზოგადოების წესდება.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ გენ. როძიანკოს და პოლკ. ვოლფმა ჩრდილო - დასავლეთის არმიისადმი გასცეს ბრძანება, სადაც ბოლშევიკებთან ბრძოლისთვის მოუწოდებენ პეტროგრადის გასანთავისუფლებლად. შესალოდნელია ძლიერი ბრძოლების განახლება.

მოსკოვი. არხანგელსკის თეთრგვარდიელთა მთავრობამ შესწყვიტა ახალი ფულის გამოცემა, თეთრგვარდიელების ხაზინა იყო ინგლისის კანტროლის ქვეშ და ფულს გარანტიას ინგლისი იძლეოდა. ეხლა, როდესაც ინგლისმა უარი განაცხადა ჩრდილოეთში დახმარების შესახებ, მისი გარანტია ძალას კარგავს.

შემდეგ ქ. მალოარხანგელსკი დავტოვეთ ქ. ლივნის სამხრეთით ჩვენი ჯარი მოწინააღმდეგის შემოტევას იგერიებს დონზე გადმოსული მტრის ჯართან მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ვორონეჟის ჩრდილოდასავლეთით 15 ვერსის მანძილზე მდ. ხოპერის შესართავის ქვემოდ მოწინააღმდეგე ისევ გავდევნეთ დონზე.

თურქესტანის ფრონტი. ცარიცინისკენ ბრძოლით ავიღეთ გრაჩევსკაია ქ. იულეცკის სამხრეთ აღმოსავლეთით მოწინააღმდეგის ცხენოსანმა ჯარმა სუხო რინსკოე აიღო.

ბოლშევიკური ცნობები

იაპონიის და ამერიკის ჯარების წამოსვლა ციმბირიდან

№ ის არმიის შტაბი. ენკ. 29. მიღებულ ცნობებით, ციმბირიდან სამშობლოში მიმოვალ ჩეხ სლოვაკების მაგიერ იაპონიის და ამერიკის ჯარები მოდის. ვლადივასტოკში ჩეხო-სლოვაკების ნაიერ დაცლილ ვაგონებს ამერიკელებს აძლევენ, ხოლო ჩეხო სლოვაკებს სამშობლოში გზავნიან ამერიკაზე.

რეპრესიელი ზომები გერმანიის წინააღმდეგ

ლიონი. ოქტ. 1. დღეს შეუდგენენ ეკონომიურ ხასიათის რეპრესიულ ზომების განხორციელებას გერმანიის წინააღმდეგ. ამ ეთი ზომები გაგრძელდება მანამდე, სანამ ფონ-დერ ჰოლცის ჯარი ბალტიის მხარეს არ დასცლის ამავე დროს გერმანიის მთავრობამ ფორმალური ბრძანება გასცა გენ. ჰოლცს, დაუყოვნებლივ დასტოვოს კურლიანდია.

ჩეხის ნაციონალისტები და პოლონეთი.

ვიტებსკი ენკ 29. ვარშავის გაზ. „პოლსკა“ იუწყება, რომ ჩეხიის ნაციონალისტურ წრეებში პოლონეთთან ომისთვის ემზადებიან და ამ მიზნით მოლაპარაკებას აწარმოებენ დენიკინთან და გალიციის მინისტროან პეტრუშევიჩთან.

ბელოოსტროვი. ენკ. 29. „ჩიკაგო ტრიბიუნ“-ის პარიზის გამოცემა იუწყება, ოომ იაპონიასა, ინგლისსა და საფრანგეთის შორის ივლისში დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება ამერიკის ინტერესების საზიანოდ ჩინეთში გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ. საფრანგეთის მთავრობა ამ ცნობას უარყოფს. ლატვიის მთავრობამ ბრძანება გასცა დათხოვნილ იქნენ ჯარიდან 1895—1912 წ. წ. ჭასაკის ახალგაზრდები:

მოკავშირენი და გერმანიის შუამდგომლობა

მოკავშირეებმა გერმანიას განუცხადეს, რომ არ განიხილავენ მის თხოვნას გერმანიისთვის სურსათის მიწოდების შესახებ, ვიდრე გერმანია ჯარს არ გამოიყვანს ბალტიის მხარიდან. იმ შემთხვევისთვის თუ ეს გერმანიამ დააგვიანა, მოკავშირენი სამხედრო ზომების მიღებით ემუქრებიან.

დასავლეთის ფრონტი. ლუგის და გდოვის რაონებში ჩვენი ჯარი მდ. საბას აღმოსავლეთით მოწინააღმდეგეს ებრძვის. მტერმა მდ. დასავლეთ დვინაზე გადმოსვლა სცადა, მაგრამ სროლით უკუ ვაგდეთ. ბორისოვის და ბობრუისკის მიმართ. სწარმოებს ბრძოლა, რომლის შედეგიც ჯერ ცვალებადია.

სამხრეთის ფრონტი. გლუხოვისა და ლგოვისკენ მკაცრი ბრძოლებია. კურსკის მიმართულებით მკაცრი ბრძოლის

პატარა ფელეტონი

ფულების სამეფოში.

ერთ-ერთ კომისსარის საფულე ყუთში თავი მოეყარათ ყველანაირ ჯურის ფულებს: „ნიკოლაევკებს“, „კერენკებს“, „ბონებს“. აქვე იყვნენ ოქროვერცხლის და სპილენძის ფულებიც. ყველა თავ-თავის ბუდეში ელაგა და ყველას თავის პატარა ეზო და ლობე ჰქონდათ, მაგრამ ისე მშიდროთ იყვნენ დასახლებულნი, რომ ერთმანეთის ჩურჩულიც კი ესმოდათ.

საოცარი ამბავი ხდებოდა ამ ყუთის მცხოვრებთა შორის. იმ დროს, როცა თითქმის მთელ დედა-მიწის ზურგზე სოციალიზმი და „სოვდეპია“ იყო დამყარებული, და თავად-ბურჟუას ჰაეროვანებაც კი აღარსად ისმოდა, ამ ყუთში მაინც გაცხარებული წოდებრივი ქიშპობა და განხეთქილება სუფევდა, აქ იყო თავის არისტოკრატიაც, დემოკრატიაც, „ნიკოლაევკებს“, ოქროვერცხლს და ასე, ვასინჯეთ, სპილენძის შაურიან-კაპიკიანებსაც კი თავი მედიდურათ ეჭირათ და თაკილობდნენ დანარჩენ ყუთის მცხოვრებთ, ყუთის დემოკრატიულ ელემენტი კი—„კერენკები“ და „ბონები“—„კონტრ-რევოლიუციონერებათ“ და „ბურჟუებათ“ იხსენიებდნენ მათ, ერთმანეთს კი „ამხანაგს“ უწოდებდნენ.

ყველანი კი, მთელი ყუთის მცხოვრებნი საერთოთ, განსაკუთრებული პატივით და მოწიწებით ეპყრობოდნენ ოქრო-ვერცხლს, რომელთაც ოლიმპიური მედიდურობით ეჭირათ თავი და ლაპარაკსაც კი არავისთან კადრულობდნენ.

— უხ! გული მიწუხდება!—სასოწარკვეთილებით წამოიძახა „კატინკამ“ (რუსულმა ათთუმნიანმა)—მეტად მძიმე სენი ტრიალ ბს.. ნეტა კარები მალე მაინც გააღონ...

— მარა იქნება,—ბანი მისცა ბოლმისაგან მთლათ გალურჯებულმა ოცდა ხუთ მანეთიანმა—ამ გლეხუმა „ტოვარიშჩ“—„დემოკრატებში“ შემოგვანწყვდიეს და რა ხეირი დაგვეყრება! ვე შენ გითხრა ჩვენსეენ „დუხებს“ არიან ჩვეულნი!—ჩვენ მუშის ოფლისა ვართ ჩვეულნი, თქვენსეენ მუქთა ხარ-

ბურჟუები არა ვართ!—მიაძახა ამიერ-კავკასიის ოცდახუთ თუმნიანმა—ერთი შეხეთ ამ ბურჟუა—კონტრ-რევოლიუციონერებს, რომ მაინც თავისას არ იშლიან!—ასკდა და დასკდა ამიერ-კავკასიის ათთუმნიანიც.

— მაშა ქა,—კვერი დაუკრა თავის მოძმე ხუთთუმნიანმა—სანამ დედა-ბუდიანათ არ ამოსწყვეტავ განა ეგენი ენას მოიმოკლებენ?!.. რატო არ დასთხოვდით, შვილო-ნანიავ, „დუხებსა“ და „ადიკალონებსა“ თქვენი „კავალერები“ ორი ხელით იპარავდნენ!—თორე თქვენები კი აკლებენ რამეს!—გადმოსძახეს „ნიკოლაევკების“ ბანაკიდან-მგონი, სულ იმის სინანულში არიან, რატო სანი ხელა არა გვაქსო! ამ სიტყვებს სიცილ-ხარხარიც დაატანეს, რამაც ძაან გააწიწმატა „ბონები“.

— რასაპუტინ-სუხომლინოვი მოიგონეთ!—შხამიანათ გადასძახეს „ბონებმა“.

თქვენი კაჩუხოვის პროცესსი გაიხსენეთ—გადმოსძახეს „ნიკოლაევკების“ უბნიდან, თან ამაყად დაუმატეს: „არა რაძიენ დიდი გულითა ხართ: სულაც რომ ერთათ შეიკრიფოთ, სამ გირვანქა ჭიან ვაშლსაც აღარ იძლევიან თქვენში!

— ჩემი საყიდელი ქინძი სამ მანათათ გახდა! სიცილით დაამატა ჟანგიანმა კაპიკიანმა.

— რა უყოთ-რა.—უპასუხეს „ბონებმა“—რევოლიუციის გაღრმავების პროცესსში ვართ და ყველაფერი უნდა ავიტანოთ... თქვენი ლილა კი არ გაცვდა, თქვენი ფასი კი არ დაეცა?! ისევ იმ ფართი-ფურთებში ხართ?!

— „ორი ქაჩალი სავარცხელზეთ წაიჩხუბნენო!“—წაიდუდუნეს ოქროვერცხლმა-ან ერთნი რა ღირან, ან მეორენი?

— თქვენ რევოლიუციას ძირი არ გავარდეს, მეტის მეტად აღრმავებთ!—სიცილ-ხარხარით გადმოსძახეს „ნიკოლაევკებმა“ „ბონებს“.

— ეს მოსათმენი არ არის! — დაჰკრეს განგაში „ბონებმა“—ეს წმინდა კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლაა! საპროტესტო მიტინგი უნდა გავმართოთ!

— ამხანაგებო!—გადასძახეს „კერენკებს“—გეყოთ ამდენი გამთიშველი პოლიტიკის წარმოება... რევოლიუცია და მისი მინაპოვარნი საშიშ მდგომარეობაშია, მხარი მოგვეცით! გესმით, დენიკინელები როგორ ამცირებენ რევოლიუციას და დემოკრატიას.

„კერენკებმა“ ხელათ „ობლასტნოი“ კამიტეტი მოიწვიეს, თავი მოუყარეს ყველა თავის მოძმეებს და საერთო ხმით დაადგინეს: „თუმცა ბევრ რამეში არ ვიზიარებთ ამიერ-კავკასიის „ბონების“ პოლიტიკას, მაგრამ საერთო რევოლიუციონური ფრონტის გასამაგრებლათ მცხარე პროტესტს უცხადებთ დროებულ, „ნიკოლაევკებს“.

— Охъ, первый любовникъ революціи, შენც აქა ხარ?!—სიცილ-ხარხარით გადმოსძახეს „ნიკოლაევკების“ ბანაკიდან.

— ჯერ „ვალერიანის კაპლი“ მიირთვი გენაცვალე—ხითხითებდა „კატინკა“.

— ნავთი ასუნებინეთ, ნავთი! — დაუმატა ოცდახუთ მანეთიანმა—საოცრად მოქმედობს ნავთი „ესერებზე“! —ბაღლინჯოსეებ შუსრს ავლებს!

ამ სიტყვების გაგონებაზე „კერენკები“ ფიცხლავ მიიმალენ...

— რა კამპანიაში ჩავვარდით! ოხვრით წამოიძახა ისევ „კატინკამ“.

— მახლას! რა გაეწყობა! — სთქვა „ნიკოლაევკის“ ხუთთუმნიანმა—„სიბერემდინ სიქაჩლე გეწეროსო!“

— არ მოგწონთ და მიბრძანდით თქვენ ბოლშევიკებთან! ვინ თავ-მკვდარი გიპერთ?!—გადასძახეს „ბონებმა“.

— სოციალ-შოვინისტები! დაიდუდუნეს „ნიკოლაევკებმა“ და ხმა ჩაკმინეს, რადგან ბოლშევიკებისა ძაან ეშინოდათ და რუსეთში წასვლა არაფრად ეპიტნავებოდათ..

— არა, სეირი ის არი,—მაინც ვერ მოითმინა და ცოტა ხანს უკან ისევ სიჩუმე დაარღვია კაპასმა, გალურჯებულმა ოცდა ხუთ მანეთიანმა—რომ სიციალისტ—„ტოვარიშჩები“ მაინც ჩვენ უფრო გვეტმასმებიან, ვიდრე თავის. „დამებს“—„ბონებს!“ არა, როგორ მოგწონთ, ჰა?!

— ამიტომ, რომ დემოკრატიულ აზროვნებასთან მეტად არისტოკრატიული გემოვნებაც ახლავთ!—შხამიანათ მიუგო „კატინკამა“. („ბონებს“ არ დასცალდათ პასუხის მიცემა, რადგან ამ დროს ყუთის კარები გაიღო და თავი შემოჰყო ყუთის პატრონმა—კომისსარმა, რომელმაც ორი ბღუჯა „ნიკოლაევკები“ და „ბონები“ შემოიტანა და მიუმატა წინანდელებს, თან ორივეს უნუგეშოთ გადახედა და წაიდუდუნა: „ამა თქვენში რას ვაქნევ?“ მერე მიუბრუნდა ოქრო-ვერცხლს და ალერსი დაუწყო: „თქვენი ჭირიმეთ, თქვენი! ჩემი იმედი და ბურჯი თქვენა ხართ! თუ გამიჭირდა, თქვენ უნდა გამაჭროლოთ „გრანიცაზე!“

ნ. აზიანი.

წერილები ქართლიდან

3.

ქართლი ყველასაგან მივიწყებულია. იქაურები, როგორც წინა წერილებშიც აღვნიშნე, მისთვის სასიკეთოდ არა ზრუნავენ, გარეშეებს კი იქ მისასვლელად არა სცალიათ... მთავრობის მხრივაც იშვიათია ისეთი ნაბიჯები, რომელიც ქართლის სასარგებლოდ იქმნება გადადგმული. მეთაური პარტიის წარმომადგენელნი მხოლოდ ოსებთან საალერსოთ თუ მიიქცევენ ხოლმე ქართლის გულისკენ პირსა, თორემ სხვაფრივ იქაური ყოფა არ

საქმიანობის მიხედვით, დემოკრატიასთან, სხვა და სხვა ჯგუფის მუშებთან მატერიალურადაც იყვნენ გაკანაწყორებულნი.

როგორც ვიცით, ჩვენშიაც, როგორც სხვაგან რევოლიუციის ხანაში, ცხოვრების სათავეში მოექცნენ მემარცხენე პოლიტიკოსები,—სწორედ ისინი, ვინც წინად არალეგალურად ებრძოდენ ძველს წეს-წყობილებას და ვისაც რაიმე სასჯელი გადაუტანიათ რევოლიუციონურ საქმეებისათვის. რევოლიუციის მსვლელობის და შემდეგ მისი გაღრმავების დროს ახალ ფორმაციის ბელადებისთვის საჭირო იყო უმთავრესად პოლიტიკური მემარცხენეობის სტაჟი, ერთგვარი ექსპანსიურობა და თავისებური ნების-ყოფა. და ვინც ასეთის თვისებებით იყვნენ დაჯილდოებულნი, იმათ ჩაიბარეს ყველგან მართვა-გამგებლობა და უფლება.

ჩვენ აქ ვამბობთ უმრავლესობაზე,—ისე კი ჩვენში იყვნენ ისეთი რევოლიუციის ბელადები, რომლებიც ყოველ-მხრივ ღირსნი იყვნენ მებაირაღტრობისა, ვიხადგან ისინიც საუკეთესო ინტელიგენტები იყვნენ. სასამართლო, ადმინისტრაცია, სამედიცინო საქმე, ფინანსები, ქალაქის თვით მმართველობა, მეურნეობა, განათლების საქმე და სხვა ჩვენშიაც რევოლიუციის პირველ ხანებში გაბატონებულ რევოლიუციონურ პარტიების წევრების ხელში მოჰყვა.

ამ დროში თავისთავად ცოდნა, გამოცდილება, დიდი ხნის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, განათლება-განვითარება, მწერლობა მწიგნობრობა არაფრად ფასდებოდა. ამ თვისებების პატრონიც თავის-თავად გაირიყნენ, ცხოვრების მსვლელობას ჩამოაშორეს, სამოქმედო ასპარეზი შეუვიწროვეს. მართალია ბევრი მათგანი შერჩა წინანდელს სამსახურს, წინანდელ ხელობა-სპეციალისტობას: სამსახურიდგან

მათ არ ერეკებოდნენ. მაგრამ ვინაიდგან ბევრი წინად არსებული დაწესებულება ან დაიკეტება ან და ძირიანად გადაკეთდა, ისინი ძალა-უნებურად ნაჩვევ სამსახურს და საქმიანობას უნებლიეთ უნდა ჩამოშორებულიყვნენ. ახალ დაწესებულებებში (ცენტრებში, კომიტეტებში, კავშირებში, ერობებში და სხვა) ან ახალ თანამდებობაზე მათ არავინ ეპატიჟებოდა ლუკმა პურისთვის პოლიტიკური რწმენის გამოცვლას, გასოციალისტებას კი ნამდვილი ინტელიგენტები არ კადრულობდნენ, ვინაიდგან პოლიტიკური ავანტიურისტობა, გაპატონებული წეს-წყობილების და პოლიტიკური კურსის მიღება და შეგუება ყოველთვის არა საკადრისად და უპატიოსნებად მიაჩნდათ. ფაქტია, რომ მათშიაც ულირსნიც გამოერევნენ: ზოგიერთნი გახდნენ „მარტის რევოლიუციონერებათ“, „გასოციალისტდნენ“, რათა მათაც ბატონების ნასუფრალი მაინც რგებოდათ, სოციალისტების ზეიმის წოის გარეშე დარჩა ჩვენში უმრავლესობა წინად უანგაროდ და თავ გამოდებით მომუშავე გამოცდილ და განათლებულ საზოგადო მოღვაწეებისა: მწერლები მეცნიერნი, მასწავლებლები, ექიმები, ვეტერინარები, ფინანსისტები, სასამართლოს წარმომადგენლები დასხვ. როგორც უკვე ვსთქვით, მათ ჩვენში არ ითხოვდენ სამსახურიდან, მაშასადამე არ უსპობდენ ცხოვრების წყაროს, არ ამასხარავ ბდენ, როგორც „ქამების“ სამეფოში — ბოლშევიკურ რუსეთში. ინტელიგენტებს მხოლოდ პასუხისგებ და „დიდს“ ადგილებს არ აძლევდენ, ვინაიდან როგორც უმეტეს შემთხვევაში არასოციალისტებს, ნდობით არ ეკიდებოდენ, ამ ნაირად, ერის საუკეთესო ნაწილი—ნამდვილი ინტელიგენცია უნდა დამორჩილებოდა, უნდა დაქვემდებარებოდა მოსოციალისტე „ნიღილებს“, სოფლის ყოფილ

პარტიულ პროპაგანდისტებს, რომლების გონებრივი ავლა-დიდება პარტიული პროგრამის გაზეპირებას და ორიოდე ბროშურის ცოდნას არ აღემატებოდა. როგორც ვხედავთ, ცხოვრების და ქვეყნის მართველობად და გამგედ გახდენ უმეტეს შემთხვევაში სრულებით უცნობნი, ცხოვრებაში გამოუცდელნი დ უსწავლ-უცოდინარნი პირნი.

ასე იყო რევოლიუციის მიმდინარეობის პირველს ხანებში.

ამ ამკარად ანორმალურ მოვლენას მაშინ რამოდენიმედ მაინც ჰქონდა რეზონი, გასამართლებელი საბუთი... დიახ, რევოლიუციის მღელვარების დროს თავისებური ღირსების და თვისების ხალხნი იყვნენ საჭირო. ამას რევოლიუციის ღირსეული და განათლებული ბელადებიც ვითომ მხოლოდ დროებით ურიგდებოდენ. უკანასკნელთ მტკიცებით, როგორც კი დადგებოდა ჩვენში ხანა ნამდვილი სახელმწიფოებრივი აღშენობლობისა, დამშვიდებულ პრაქტიკულ მოქმედებისა, მაშინ აუცილებლად ნიჭს, განათლებას, ცოდნას, გამოცდილებას, პატიოსნებას დაეთმებოდა უპირველესი ადგილი: მაშინ განათლებულ და დახელოვნებულ ინტელიგენტებს ჩააბარებდენ სახელმწიფოებრივ საქმიანობას; მაშინ სახელმწიფოს ყველა დარგში მოთავეობა, ხელძღვანელობა და ბელადობა მცოდნეებს, განათლებულებს და პატიოსნებს ექნებოდა...

აი ჩადგა რევოლიუციის ქარიშხალი. აღელვებული და აბობოქრებული ცხოვრების ტალღები შესამჩნევად დაწყნარდა; საქართველოს ბედი ჩამოყალიბდა: მან როგორც იყო იპოვნა თვისი ძველად შერყვნილი სახიერება—შეიქმნა სუვერენული სახელმწიფო. ახლა თავისთავად ცხადია, საჭირო შეიქმნა შემოქმედებითი მუშაობა, ახალ ცხოვრების მიხედვით სახელმწიფოს სხეულის გაჯამთელება, მისი მოდუნებულ

ნაწილების გამაგრება, ახალი გეზის, ახალი გზის მონახვა, ერთი სიტყვით, ეროვნულის თვალსაზრისით გონივრულად ერის ცხოვრების მოწყობა. მერე ვის უნდა დაჰკისრებოდა ასეთი შემოქმედებითი შრომა-მოღვაწეობა? ვის უნდა ედვა თავზე ახლად ფეხადგმული სამშობლოსი „ფენიქსებრ“ განახლება? ვინ შეძლებდა დანგრეულის განახლებას, ასაშენებლის აღშენებას, ახალი პერსპექტივების გამონახვას, უანგაროო, ნაყოფიერი და დაუღალავი მუშაობას?

რასაკვირველია, არა ის პირები, რომლებიც რევოლიუციის ტალღებმა ამოატივტივებს და ცხოვრების სათავეში მოაქცეს; არა ის „პარტიულნი მუშაკნი“, რომელთაც წინედ მთელი თვისი ძალ ღონე და ენერგია ერის გათავისებისათვის, სამშობლოს იდეიას გაბატონებისათვის შეულევიათ და რომელთაც სამშობლოს დამოუკიდებლობა უბედურობათ მიაჩნდათ. ცხადია, ნორმალური და დაწყობილი ცხოვრების ფორმების თეორეტიულად შესამუშავებლათ და ამ ფორმების ხორც შესასხმელათ საჭირონი იყვნენ ცხოვრებაში გამობრძენდილნი, ფართო მსოფლმხედველებიანი, განათლებული და მცოდნე ადამიანები, ჩვენი ახალი ცხოვრება ბევრს ამგვარს მომზადებულ მოღვაწეებს და მომქმედ პირებს თხოულობდა. სამკალი დიდი იყო, მკელები კი—ნაკლებად.

წარსულმა მონურმა ცხოვრებამ ბევრი განათლებული ქართველი გადაგვარა, ერის და სამშობლოს სიყვარული გულში ჩაუქრო, შეგნებულ მოღვაწეობას გადაჩვია. მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველოში მაინც საკმარისად იყვნენ შეგნებულნი მომავლის შვილნი, რომელთა იდუმალ და შეუწყვეტელ ნატვრას შეადგენდა სამშობლოს საკუთარ ფეხებზე დადგომა, მისი სუვერენება და რომელნიც მზად

იყვნენ უკანასკნელი ენერგია, ძალ-ღონე და ცოდნა-გამოცდილება მისი კეთილ-დღეობისათვის შეეწირათ. მოსალოდნელი იყო და სამართლიანიც იქნებოდა, რომ ჩვენი ახალ ცხოვრების რჩეულ ბელადებს, თითონ განთლებულებას და ნასწავლ-გაწრთვნილებას, აი სწორეთ ასეთი ცნობილი და გამოცდილი, პატიოსანი და სინდისიერი, ნიჭიერი და განათლებული პირების მობილიზაცია მოეხდინათ, მათთან ერთად სამშობლოს ბედი მოეწყოთ, მისი მომავალი შეექმნათ. „ახალი ქართლის“ ბელადებს უნდა დაეკრათ ბუკი და ნალარა, აკაკის თქმისა არ იყოს, და გარს უნდა შემოეკრიბათ სამოქმედოდ, სამუშაოდ, რევოლიუციაში გამოცდილი ღირსეული გმირებთან ერთად, თავისუფლების იდეიის ცოცხლად მატარებელი და მისთვის კალშით, ნაღველით და ნერვებით მებრძოლნი მოწინავე ინტელიგენტები, უმთავრესად კი ქართველი მწერლები, დაჩაგრულ-დამონავებულ სამშობლოს ერთგულნი პირისუფალნი, რომელთაც სამშობლოს უნუგეშო ყოფისა გამო „ცრემლი სდიოდათ შეუშრომელი“.

მოსალოდნელი იყო... მაგრამ სინანდვილემ კი სულ სხვა დაგვანახვა. შეიძლება ბელადებს, მართლაც, ასე სურდათ, მაგრამ პარტიულმა „ეთიკამ“, შორიგ „ამხანაგების“ და ყოველ პროპოგანდისტების წარსული „მოღვაწეობისათვის“ კომპლიკაციის აშკარა მოთხოვნამ ხელი შეუკრეს მათ: ისინი იძულებულნი შეიქმნენ ცენტრში და პერიფერიებში ძალა-უფლება უვიცათა-თვის შეენარჩუნებიათ, მათთვის მინდოდ აღშენებლობა და შემოქმედებითი მუშაობა. ამ რიგად სამშობლოს იდეიური ხელთ-მოძღვარნი ცხოვრების გარეშე დარჩნენ...

ი. ვართაგავა.

აინტერესებთ... ერთის სიტყვით, ეს მხარე ღვთის ანაბარათ იმყოფება და მის ბედს ვიღაც ეფრემიძე—ახალაძეები განაგებენ. რა კეთდება მათი მოღვაწეობით, ამას ყველა ჰხედავს, და მეტადრე ქართლის ის მცხოვრებნი, ვინც მათის წყალობით დღესაც ტანჯვის დღეებს განიცდიან...

გორის ერობის წევრი ახალაძე ერობის წარმომადგენელთა ყრილობაზე—თბილისში—მეტად თამამად მოუთხრობდა დამსწრეთ იმ „საქმეებზე“, რაც გორის მაზრის „საკეთილდღეოთ გაუკეთებიათ“. მაგრამ ყველაზე საყურადღებოა ცხინვალ—გორის გზისა და სოფელში სარწყავი არხების გაყვანის ამბავი, რითაც ეს ბატონი თავის გამოჩენასა სცდილობს და ყველას დასრულებულ საქმეთ აჩვენებს. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ არც ერთი ამ საპირო საქმეთაგანი, დასრულებული კი არა, ჯერ დაწყებულიც არ არის... ის ცოდო გორის სამაზრო ერობამ ზიდოს, რაშაც ცხინვალ—გორის გზის მეტად ცუდი მდგომარეობითა და არხების უქონლობით მგზავრები და ს. ს. დგვრის—ხვითის მცხოვრებნი არიან ჩაცვივნულნი... თუ ავტომობილეტლების ამ გზაზე გაფუჭება, ხალხის შუა გზაზე დატოვება, სოფლელთა ჩხუბი და ბაღ-ვენახების მოურწყაობა გზისა და არხების გაყვანასა ნიშნავს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს ამაზე მეტი სიკეთის ნახვა აღარ მოელის. და რა სიკეთეა ამ ქცევაში ეს ბავშვისათვისაც ადვილი გამოსაცნობია, თუ, რასაკვირველია, გონებას ძალით არ დაუჩლუნგებთ და მისი სურვილის წინააღმდეგ არ ვაფიქრებინებთ...

ავიღოთ მაგალითად სკოლები. ამ მხრივ შუა ქართლის ტონის მიმცემი ცხინვალის სკოლაა—გიმნაზიაი წოდებული. ვერავინ იტყვის, რომ შარშანდელი წლის განმავლობაში იქ სისტემატიური სწავლა ყოფილიყვეს. ეს ხდებოდა იმისთვის კი არა, რომ მოწაფეთა კომპლექტი არ იყო, ან და სკოლის საქმის შინაური შემფერხებელი მიზეზები იყო... არა, ეს ხდებოდა იმისთვის, რომ მასწავლებლებს „არ ეცალათ“. წამკითხველთან ერთად მეც ძალიან მიკვირს ამ სიტყვების ხმარება, რადგან მასწავლებელი მხოლოდ იმისთვის არის დანიშნული, რომ იმასწავლებლოს, და აქ სხვა რამე მიზეზით „არაგვცალიანი“-ს თქმა ყოვლად მიუღებელია.. ბავშვებისა და მშობლებისა რა ბრალია, თუ მასწავლებლობის გარდა მასწავლებლები ერობაში, ან სხვაგან მსახურებენ და ორმაგ ჯამაგირს იღებენ. ბავშვებს სასწავლებლათ ჰგზავნიან, მაშასადამე მათი „სხვა საქმით“ მოცდენა მიუტევებელი ცოდვაა... მაგრამ მასწავლებლები არც ისე გაისარჯენ, რომ ბავშვები ეზარალებინათ. „რაკი კურსის გავლა ვერ მოვასწარით, ამ ზაფხულ მოემზადეთ და ენკენისთვეში გამოცდებით გადაგიყვანთო“... და თვით ამ მასწავლებლებმა დაუწყეს ბავშვებს ფასათ მომზადება. და როგორა გგონიათ, ვინც მათთან იმაცადინა, შემდეგ კლასში ვერ გადავიდოდა?... ამან კი ხალხი მიიყვანა იმ გარემოებამდე, რომ ბევრს ქართველს შვილი ოსების გიმნაზიაში მიჰყავს.

აი, ასეთ გარემოებას უძახიან საქმის კეთებასა, და ერის სამსახურს... ასევე ხდება სხვა დარგებშიც... მიწის კომისიამ პირდაპარ გმირობის სახელი მოიხვეჭა. სოფ. ბროწლეთში სხვისაგან ჩამორთმეული მიწა მიეწონა, თავისად ჩაიწერა და მოხვნას უპირებდა, მაგრამ სოფლელებმა გაუგეს და კუდით ქვა ასროლინეს. ამბობენ, ამ სოფლისაკენ ხალხი კომისიას აღარ უშვებსო... ჩვენ კიდევაც გვიკვირს, რატომ აქამდე ეს განაწამები მცხოვრებნიც ბოლშევიკებათა და მეამბოხეებათ არ გამოაცხადეს. ამათგან ხომ გასაოცარი არაფერია!..

—

ამას წინად დ. ცხინვალში ჩამოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი ვანო ტატიშვილი, გორის მაზ. ერობის წევრის შაქრო ჯავახიშვილის თანხლებით, რომელმაც გამართა მიტინგი და ხალხს საქართველოს მდგომარეობისა და დამფუძნებელი კრების მუშაობის ამბები გააცნო. თავის სიტყვაში, სხვათა შორის, აღნიშნა მნიშვნელობა მიწის დეკრეტისა, მაგრამ ისე უმეცრად, რომ ყველას ერთი აზრი შერჩა: „მიწა და საერთოდ მამული დარჩებათ, ან და მიეცემათ იმათ, ვინც იმავე სოფელში, ან რაიონში სცხოვრებსო“... ასეთმა „ახსნამ“ კი გამოიწვია ის, რომ ოსების რაიონში მდებარე მთა-ტყეებიდან შეშის გამოტანა მეტად გაჭირდა.

თუ საქართველოს მოვრობასა და მეთაურ პარტიას ქართლისათვის ასეთი პირის მეტი არ ემეტება, სჯობია ყველაფერი აშკარადა სთქვას და ხალხიც თავის გზას მონახავს...

მიხ. კიაზოშვილი.

იუპიტერო, ნუ ხაროგ!

გაზეთ „საქართველოს“ მე-№ 168-ში მოთავსებულიყო ჩემი წერილი სათაურით „სულო ბოროტო, შორს ხალხისაგან“!...

ამ წერილს, არ ვიცი რისთვის, საომარ გუნებაზე დაუყენებია ვიღაც ბ-ნი კორდინატი, რომელიც გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ №№ 16 და 17-ში მუქარით და ლანძღვა გინებით სავსე საპასუხო წერილს ბეჭდავს სათაურით „ნიკოლოზის ყოფილი „ჩინოვნიკი“ ხალხის ინტერესების დამცველის როლში“.

სანამ პასუხს გავსცემდე ბ. კორდინატს, ვალდებულად ვსთვლი ჩემს თავს ბოდიში მოვიხადო ბ-ნ დილიკოურის კომისრის წინაშე იმ უნებლიე შეცდომისათვის, რომელიც მომივიდა ჩემს წერილში, სადაც ნათქვამია „ადგილობრივ კომისრის მეთაურობით“.

ბ. კორდინატი მიწოდებს მე ნიკოლოზის ყოფილ „ჩინოვნიკს“, ალბათ, იმ იმედით, რომ მეც, როგორც არა სოციალისტი, სამაგიეროთ ვუწოდებ მას ჟორდანიას „ჩინოვნიკს“, მაგრამ მე იმდენათ პატიესა ვსცემ ბ-ნ ჟორდანიას, რომ ნურას უკაცრავათ, თუ თქვენ მისი „ჩინოვნიკობის“ ღირსათ არ გიცნოთ. მასთან მოვახსენებ ბ-ნ კორდინატს, რომ მე „ჩინოვნიკი“ არასოდეს არ ვყოფილვარ, ოც რიცხვში არასოდეს ჯამაგირი არ მიმიღია და არა მაქვს არავითარი „ჩინი“ და „ორდენი“ მხოლოდ ვმსახურობდი ნიკოლოზის დროს და ვმსახურობ ჟორდანიას დროსაც და ისიც ისეთ თანამდებობაზე, რომელიც უფრო საზოგადოებრივია, ვიდრე „ჩინოვნიკური“.

საპასუხო წერილი ჩვეულებრივათ იწყება: „ღღეს, როდესაც რევოლიუციის ტალღები დაეშვა და სახელმწიფოებრივ კალაპოტში მოკუმშულათ წინ მიექანება ამ დროს მისგან შეშინებული, გარეტიანებული, გზა დაბნეული ყველა ჯურის ქვემძრომნი კვლავ გამოძვრენ თავიანთი ხვრელებიდან და ისწრაფვიან რევოლიუციას, უმადურ ცხოველივით წიხლები ჩასცხონ, რომ ამით ვიღაცას ან რაღაცას ასიამოვნონ“.

„ვიღაცა“ დენიკინი უნდა იყოს, მაგრამ „რაღაცა“-რა ჯანდაბაა?!..

ზემო მოყვანილი ფრაზა ისეთი შაბლონია, რომელიც ახასიათებს ბ-ნ კორდინატების გამოსვლებს მიტინგებზე, კრებებზე და პრესაშიაც და მასზე შერერება არ ღირს. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ბ-ნ კორდინატებისა ვინ ხელსაყრელი არაა სახელმწიფოებრივ კალაპოტში მოკუმშვა, ისინი ჩვეული არიან აფორიაქებულ ტალღებში კოტრიალს და ვაი იმ სახელმწიფო ხომალდს, რომლის მესაჭეობა უკულმართმა პირობებმა მათ ჩააბარა.

„ასეთი საეჭვო პიროვნებანი, წარმოიდგინეთ, თავიანთ შავ საქმეებს ხალხის სამსახურის სახელითაც ასაღებენ—სწერს ბ-ნი კორდინატი და დასძენს გაზეთ „საქართველოს“ № 168-ში ვიღაც გვაღია, (ვითომც არ მიცნობდეს) რომელიც, ალბათ, ძალიან დაინტერესებულია ხალხის კეთილდღეობით. (Sic)“...

მე, ბ-ნო კორდინატო, თუმცა სოციალისტობაზე უარი ვსთქვი, მაგრამ ხალხის ინტერესების დაცვაში, შეძლებისა და გვარად, „მარტის“ სოციალისტებს არ ჩამოვრჩები და რაც შეეხება საზოგადო მოღვაწეობას, თუ კი ჩემსა და თქვენს მოღვაწეობას—საზოგადო მოღვაწეობა დაერქმევა,—ვერც აქ ჩამწიხლავთ, მადლობა ღმერთს, ჯერ არსად ჩირქი არ მომცხებია და რამდენიც არ უნდა მლანძღოთ, მი ზანს მაინც ვერ მიაღწევთ.

რაც შეეხება ჩემ მიერ წამოყენებულ ბრალდებას გველესიანის წინააღმდეგ ბ-ნი კორდინატი სწერს: „გველესიანის შესახებ ერობის გამგეობას სწორეთ კომისარმა მოახსენა, რის მიხედვით გველესიანიც გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან ივლისის 18 რიცხვიდან და დაინიშნა გამოძიება... გველესიანი ყოფილა მაყრათ ერთ მის მოყვარესგან დაპატიჟებული და მას ჯვრის წერის გათავების შემდეგ ერთჯელ გაუსროლია რევოლვერი და არა შვიდჯერ, როგორც თქვენ აღნიშნავთ, საყდრის გალავანში (და არა საყდარში), როგორც ეს თქვენც იცით, ალბათ, ეროვნული იდეის მატარებელთ ხდება ჩვენში ჯვრის წერის დროს.... ცხადია ტყუილია რევოლვერის გასროლის უფლებაც არ ჭონდა გველესიანს და ხან კიდევაც მიიღო ამისთვის ღირსი სასჯელი, დათხოვილ იქმნა სამსახურიდან“.

როგორც ხედავთ, ბ-ნი კორდინატი დამცველის როლში ძალიან სუსტია, მხოლოდ გინებაში ყოფილა დახელოვნებული. ის ლათაიებით ფიქრობს ფონზე გასვლას, მაგრამ ფაქტები თავისთავად ღაღადებენ. მე ჯერ არ გამიგონია, რომ რევოლვერის გასროლისთვის და ისიც საყდრის გალავანში ჯვრის წერის შემდეგ ვინმე სამსახურიდან დათხოვილი ყოფილიყო. ეს იქნებოდა სასტიკი სასჯელი და თუ მართლა ჩვენი ერობა ამ გზას დაადგა—თავისი მოსამსახურეებს ერთი მეათედიც არ შერჩება. მაგრამ, როგორც სჩანს, ერობამ როცა ასეთი სასტიკი ზომა მიიღო, ალბათ, იხელმძღვანელა რუსული ანდაზით: „нѣтъ дыма безъ огнія“, თუმცა გველესიანს შიგნით და გარეთ ქომაგები გამოუჩნდენ.

შემდეგ ბ. კორდინატი სწერს: „აშკარაა თქვენ და თქვენი მეგობრები ბ. გვალია რაღაცას ამზადებთ, რომ კიდევაც იმუქრებით. რას ნიშნავს „ხალხი საშიშია ყველასათვის“. ნუ თუ ეს არ არის აშკარა პროვოკაცია, ნუ თუ ეს არ არის მოტყუილებით ხალხის ჩვენი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მოწოდება? ამისთვის ალბათ იქ აგებთ პასუხს სადაც ჯერ-არს“.

ნათქვამია, შეშინებული ძაღლი მთვარეს უყეფდაო. ბ. კორდინატს ყველგან პროვოკაცია ეგონდება და რა ჩემი ბრალია, რომ ის გალიუცინაციით იყოს შეპყრობილი. ჩემს წერილში არავითარ პროვოკაციას ადგილი არ აქვს, მხოლოდ არის გულწრფელი რჩევა თქვენგან ათვალწუნებულის, ნამდვილი ეროვნული იდეის მატარებლისა, მაგრამ რა ვქნათ, ბრიყვს სხვისი რჩევა არ უყვარს.

ბ. კარდინატი განაგრძობს: „ჩვენ ვართმევთ კი არა, ხალხს ვაძლევთ, ვუბრუნებთ იმას, რაც თქვენ და თქვენმა თანამოაზრეებმა წაართვით მთელი საუკუნის განმავლობაში“.

ბ-ნო კორდინატო, აქ უნდა დაისვას sic და არა იქ, სადაც თქვენ დასვით.

მე გველესიანს არ ვიცნობ და მის მოქმედებას თუ ყურადღება მივაქცევ მხოლოდ იმდენათ, რამდენადაც მას საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს როგორც თანამდებობის პირისას დღევანდელს პირობებში მაგრამ დედა აზრი ჩემი წერილისა სულ სხვაა. მე მწუხარება გამოვთქვი იმის შესახებ, რომ ასეთ პირებს ქომაგებიც უჩნდებიან დღეს. აბა რათ დასჭირდა ტყლეპი ვაკის მღვდელს ისააკ საცერაძეს ბაზეთის საზუალებით უარის-ყოფა ამ ფაქტისა (იხ. საქართველო № 179), როცა მე არც მღვდელი დამისახელებია და არც საყდირი, სადაც ეს მოხდა. მაგრამ უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ ერობის გამგეობაშიც ჰყოლია ბ. გველესიანს ქომაგი. ბ. კორდინატი თუმცა ნიღაბ ქვეშ იმალება. მაგრამ ძალიან თხელია მისი ნიღაბი. ერთი ფრინველის არ იყოს ის თავს მალავს და მთელი ტანი გარეთ რჩება. ავაღაღადოთ თვით ბ. კორდინატი: „ბოლოს, რაც შეეხება გველესიანის დასჯას არ დასჯას, რომ ის მართალი ყოფილიყო, რაც მოჩმახეთ და ამით გაზეთ „საქართველოს“ ერთი სეტი მაინც შეუვსეთ მასალის უქონლობის გამო, მაშინ ერობის გამგეობა მიუხედავათ იმ კოლექტიურ თხოვნებისა, რომელიც საზოგადოებებმა შემოსტანეს გველესიანის ადგილზე დაბრუნების სასარგებლოდ, **ჩვენ მას პასუხის გებაში მივცემდით და ადგილიდან გადაყენებას არ დავაჯერებდით**“. (ხაზი ჩემია).

ამის წაკითხვაზე გამახსენდა გრიგოლ ორბელიანის ლექსი:

ის სამართალი ვით ჰპოვოს საწყალმან ანუ უძღურმან,
სადაცა ქრთამებს იყოფენ მწერალნი მდივან ბეგებთან?!...

აქ ქრთამებზე მხოლოდ პოეტი ლაპარაკობს, მე კი ლექსი სხვა აზრით მომყავს.

ამის შემდეგ ცხადია, ბ-ნო კორდინატო, თქვენ მიერ წარმოებული გამოძიება რა სურათს გვაჩვენებდა, მაგრამ იცოდეთ კი, რომ ნამდვილი მიუდგომელი გამოძიების შემდეგ სულ სხვა სურათს დაინახავთ.

ბ-ნი კორდინატი პაიეთიურად ათავებს თავის წერილს: „ძნელათ, რომ ხალხი ასეთი პროვაკაციით შეცდომაში შეიყვანოთ. საქართველოს დემოკრატიამ უკეთ იცის თუ თქვენისიანა ეაჟპატონები როგორი დამცველი არიან ხალხის ინტერესებისა!“

„შორს, ბატონო გვალია, თქვენი ბინძური ხელები! მას იქ ნუ აფათურებთ სადაც ხალხის წმინდათა-წმინდაა, იქ თქვენისთანა „მოღვაწეებისათვის“ ადგილი არ არის“.

ხალხზე და დემოკრატიაზე ყვირილი კორდინატებმა თავის პრივილეგიათ გაიხადეს და არც კი რცხვენიათ ხალხის სამსახურზე ლაპრაკისა მას შემდეგ, რაც მათ ბანაკში ხთება.

არ კმარა მარტო წითელი დროშა ხელში, საჭიროა პირისახეზეც სიწითლე, რაც თქვენ უკვე დაჭკარგეთ.

მ. გვალია.

ᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ქ. ზესტაფონი

ჩვენს ქალაქში ბევრი რამ ხდება სენსაციური რაიცა უნებლიეთ ყურადღებას იპყრობს და იწვევს გაოცებას და მწუხარებას. ჩვენ გვინდა ამ ჟამად ორი ფაქტის წინაშე დავდგეთ.

პირველი ისა, რომ ენკენისთვის 3, ნაშუალამევს თავს დაესხენ ექვსი რაინდი აქაურს ვაჭარს სილიონ გაჩეჩილაძეს, რომლისათვის წინ და წინვე ბარათით მოეთხოვათ 60,000 მანეთი. ასეთივე წერილები სამიოდე მსხვილ აქაურს ვაჭარსაც მისვლია. ხსენებულს ღამე ერთი იმ რაინდთაგანს იმ გაჩეჩილაძის კარებზე კაკუნი დაუწყია. ამ ხმაურობაზე დამზადილა სახლის პატრონი, რომელიც ჩასაფრებული ყოფილა ამ თავდაცემის გამო, მეორე კარით გამოსულა, მოუვლია უკანიდან და დაუხლია თოფი „სტუმრისთვის“, რის შემდეგ, როცა თოფი აღარ გავარდნილა, რევოლვერი მიუშველებია და რამოდენიმე ადგილას დაუჭრია. თავს დამსხმელი იქვე წაქცეულა, ამ დავდარაბაში მილიციონერებისთვისაც გაუგებნებიათ, მისულან, უნახავთ „ყაჩაღი“ და აღმოჩენილა ადგილობრივი გიმნაზიის მე 6 კლასის მოწაფე მდინარაძე, ვაჭრის შვილი. მასთან ამხანაგებად იმავე დროს ყოფილან აგრეთვე გიმნაზიელები: ჭამკვეტაძე (6 კლ.) ცქიტიშვილი (4 კ.) და სხვები. მდინარაძე, რომელსაც ნიღაბი ჩამოეფარებია სახეზე იმ დღესვე გარდაიცვალა. მისი ამხანაგები კი დაიჭირეს და სატუსალოში მოათავსეს. გამოძიება წარმოებს.

სამწუხარო და სავალალო აქ ისაა, რომ ყაჩაღობას ეწევიან არა პროფესიონალური ავაზაკები, არამედ საშუალო სკოლის მოწაფენი. აღსანიშნავია, რომ, როგორ ბევრჯელ თქმულა და დაწერილა, თავისუფლებამ სხვა და სხვა ნაირად იმოქმედა ყველაზე და თვითეული სხვა და სხვა ნაირის თვალით უყურებს მას. მოწაფეებს, მაგალითად, ავიღოთ, ასე აქვსთ წარმოდგენილი, რომ თავიანთ მოქმედებაში სავსებით თავისუფალნი არიან და არავის უწევენ ანგარიშს: თავისუფლად იზრდებიან—სწავლობენ, თავისუფალი ყოფა ქცევის არიან და ასეთი თავისუფლების ნაყოფი კიდეც გამოჩნდა.

ამავე „თავისუფლების“ მიზეზი უნდა იყოს ისე რომ მოწაფეები, როგორც ვიცეები ისე ქალები მთელს დროს ქუჩების ტკეპნას უნდებიან, ხშირი სტუმრები არიან კლუბ-რესტორანებისა პაპიროზ პირში გაჩრალნი ლაზღანდარობენ, წარმოდგენა—სეირნობა—ვახშამ—აუქციონები ხომ პირდაპირ მათ ხელობად გადაიქცა. ასეთი გასართობები ისე გახშირდა როგორც ქალაქად,—კლუბმა რომ ვეღარ უშველა, ეზოებში გადაიტანეს,—ისე სოფლად. მოზარდი თაობა — „დამა კავალერი“ — დადიან ქუჩა-ქუჩა და ყველას სჩრან ხელში ბილეთებს, გამოითხოვენ ვახშმისთვის ღვინოს, ქათამ-გოჭინდაურს, ხაჭაპურებს და სხვა სანოვაგეს. წარმოდგენის—საღამოების შემდეგ ცეკვა, აუქციონ—სიკინჭილა—ლატარიები და მას გაყვება დაუსრულებელი ვახშმები ქეიფ-ლეობით. ზესტაფონის გარშემო და სხვაგანაც ასეთს ვახშმებს სამზღვარი არ აქვს. ხალხს მობეზრდა „დემიანის უხასიათ“ და ფასი დაეკარგა.

დროა ბატონებო, რომ მიექცეს ამას ყურადღება. ნავაშვებულება, როგორც მოგახსენეთ, უფსკრულისკენ გაგვაქანებს და მერმე თავის შესაკავებლად ზომების მიღება გვიანლა იქნება, სიკეთილს შემდეგს სინანული აღარაა. ყოველივე ნება დართულია, მაგრამ არა ყოველივე სასარგებლოა, უფ ქვამსთ ბრძენთ.

მეორე თვალსაჩინო ფაქტი გახლავთ ზესტაფონის რაიონის კოოპერატივთა კავშირის გამგეობის მოქმედება. სარევიზიო კომისიამ საზოგადო კრებას, რომელიც მოხდა ენკენისთვეს ხსენებულ გამგეობის შესახებ 14 მუხლისგან შედგარი ბრალდებანი წამოაყენა, გამგეობას ბრალდებოდა: ფართლეულობის და ნივთების გადამალვა, 80 ფუთის შაქრისა აღმოუჩენლობა და სხ. გამგეობა თავს დამნაშავედ ცნობს თუმცა ზოგიერთი მისი წევრი მიდებ მოდებით ღობე—ყორეს ედებოდა, ხავსს ეჭიდებოდა, ფოხს ეძებდა, თუმცა ამაოდ. იყო ასეთი კურიოზები: გამგეობის ზოგიერთი დამქაშები მიუხედავად იმისა რომ თვით ბრალდებულნი თავს დამნაშავეთ აღიარებდენ, როცა დაისმოდა კითხვა დამნაშავობაზე, ხელს აშვერდენ მართალი არისო. ერთ წევრს ეთქვა: ტყუილია თითქო ორი თოფი ფართალი წ. გველოსო, ერთი თოფის მეტი არ ყოგვიკლიაო, მეორე კი გაიძახოდა: განა სათვალავში ჩასაგდებია რაღაც ნარმის ნაჭრის წაღება შინაო; როცა ჰკითხეს: რამდენი არშინი იყო ის ნარმაო, მიუგო მან: რაღაც სამოცოდე არშინი იყოო. ასეთმა ლათაიებმა საზოგადოებაში შხამგარეული სიცილ ხარხარი გამოიწვია.

ამ გამგეობას შეადგენდა: თავმჯდომარე კ. ბუაჩიძე, ერობის გამგეობის თავმჯდომარე; წევრები; ი. გუნცაძე, იმავე გამგეობის წევრი კრედიტულ ამხანაგობის თავმჯდომარე და ვლ. გოცაძე, მასწავლებელი, ქალაქის საბჭოს თავმოსანი.

საზოგადოებამ დიდისხნის მსჯელობის შემდეგ გამოიტანა განაჩენი: მთელი შემადგენელობა გამგეობისა დათხოვნილ იქმნეს სამსახურიდან ზიზღის გამოცხადებით და მის ნაცვლად აირჩიეს პ. გოგიაშვილი, ყოფილი ერობის გამგეობის თავმჯდომარე, ვლ. არეშიძე, ყოფილი სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე და პლ. საყვარელიძე კავშირის ბუხგალტერი.

ბრალდებული გამგეობა საჭირო იყო საზოგადოებას პასუხისგებაში მიეცა, თორემ ასეთს დამნაშავობას, თუ კი დაუსჯელად ჩაივლის, ყოველთვის ექნება ადგილი.

აი, ბატონებო, რა თითით საჩვენებელი მოღვაწეები გვყავს? საზოგადოებაში ამ ამბებმა დიდი მითქმა-მოთქმა და მღელვარება გამოიწვია. მგონია რიგში სხვა „მოღვაწეების“ ნამოქმედარის აღსულხვაც მოხდება ამ ახლო ხანებში.

ლ—ი.

ᲒᲘᲒᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

სიმ. ეხაძე. ისტორიული განხილვა კავკასიის მთავა-გამგეობისა. 2 ტომად.

აღნიშნული განხილვა იკუთვნის ყოვლად უწყინარს და წყნარს მოქალაქესა და სამხედრო ისტორიკოსს სიმონ სპ. ესაძეს, ავქსონს მრავალ ისტორიულ თხზულებებისა, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მიიქცევს „შამილის დატყვევება“, „ისტორიული განხილვა კავკასიის მართვა-გამგეობისა“ და სხ.

ეს თხზულება იწყება ქართველ რუსთა ერთიერთობის განხილვითა და განვითარებით 1801 წლამდე განსაკუთრებული ყურადღებითა და გულდასმით მოთხრობილია მეფე ერეკლეს ამბები, შემდეგ წარმოდგენილია ცნობები შესახებ რუსთა მმართველობის დამყარებისა კავკასიაში, სასტიკი ბრძოლა დაღისტანთან, ამბები იმერეთისა, სამეგრელო-აფხაზეთისა, გურიისა, ცნობები შესახებ ყოფა-ცხოვრებისა საქართველოსა და მისს ნაწილებში, მეორე ტომში შედის ვრცელი განხილვა შესახებ ბატონყმობის მოსპობისა, საქართველოს საეკლესიო მამულების ჩამორთმევის (1852 წ.), აგრეთვე შესახებ მაჰმადიანთ სამღვდელოების მოწყობისა, ვრცელი ცნობები 1877 1878 წლების ომისა, მესხეთ-აჭარის დაპყრობისა და სხ.

ორივე ტომი შეადგენენ ერთ მთლიან თხზულებას, რომელიც მკითხველს აძლევს სრულს ნამდვილ ფაქტებზე დამყარებულს ცნობას შესახებ კავკასიის საზოგადოდ და საქართველოისა განსაკუთრებით. მასალა ამ დიდ თხზულებისა ამოკრებულია სხვა და სხვა არქივებიდამ. კავკასიის ახალი დროის ისტორიის შემადგენელს მით ხელში ეძლევა არა თუ მზა მასალა, არამედ ხშირად სრულიად შემუშავებული მონოგრაფიული აღწერილობაც!

სასურველია, ს. იორდანაშვილმა ან მისებრ მოყვარეებმა საქართველოს და კავკასიის წარსულისა წინ დაიდონ ეს ფასიანი თხზულება სიმონ ესაძისა და ამოიღონ მისგან საჭირო ცნობები ან შეადგინონ მოკლე სახელმძღვანელო წიგნი.

მ. ჯანაშვილი.

მ ი მ ო წ ვ ე ბ ი
სახალხო მატარებლები.

ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს.
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 15 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გ ა დ ი ს

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

მ ო დ ი ს:

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინა

გ ა დ ი ს:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მ ო დ ი ს:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო ისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

ექიმ �c. ჩიჯავაძის

ბაქტერიოლოგიური, სერო-დიაგნოსტიური და ქიმიურ - მიკროსკოპიული

ლაბორატორია

იღებს გამოსაკვლევად: **სიხლს (Wassermann'-ის, Weinberg'-ის, Widal'-ის** რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, **Ober neyr'-ის** სპიროხეტები და სხვა). **შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ფორწს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს** და **სხვას. აუტოგენიურ აცვნადებს ვაქცინას.**

26 მაისის (ოღღეს) ქუჩა, გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათ.

15—26988—1

მედიცინის დოქტორი

ბ. ა. ახვერდოვი

ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე **მიხეილის ქუჩა № 7** ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.

50—2559—1

საექიმო კაბინეტი

ექ. პ. სუპოელაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესე და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

ბ. ბ. ᲛᲘᲪᲠᲐᲒᲘᲐᲜ

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა, გულისა. იღებს ახალ რეტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი საღენინიდი და ასევალის ტროკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და საღამოს 6 9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7 92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—23.

საქართველოს სამინისტროს სტამბა, ფოთის-შედეგოვის ქუჩაზე 3.